პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24
ტელეფონი 10—49.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის 10—58.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. ხელის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 20 კ. ჩვეულებრივი ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 5 მან. ჩვეული განცხადებები მეორე ნომერში მიიღება მხოლოდ ორ საათ.

№ 46 (901) კვირა, 24 თებერვალი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 6 კაპ. ჩერვონცებით. № 46 (901)

დღევანდელი გაზეთის №-ი შეიცავს 6 გვერდს.

დღის [illegible]

— რუსეთ-ინგლისის კონფერენცია გაიხსნება 25 მარტს.

— ინგლისის თემთა პალატამ უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის გადასდო 730 ათასი გირვ. სტერლინგი.

— ფიუმეს ანექსიის გამოცხადება იტალიის მიერ მოხდება 2 მარტს.

— ესპანეთის დირექტორიამ გადასწყვიტა დაჰკეტოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, რადგან სტუდენტობა სისტემატიურად აწყობს გამოსვლას მთავრობის წინააღმდეგ.

დღეს სრულდება სამი წელი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებიდან

მენშევიკური რეჟიმის ნანგრევებზე აღმოცენებული საბჭოთა საქართველო სდგას დღეს ურყევათ, გაერთიანებული სხვა სოციალისტურ რესპუბლიკებთან მშრომელთა ერთ დიდ კავშირში.

გაუმარჯოს იმპერიალიზმისა და მენშევიზმის უღლიდან განთავისუფლებულ მშრომელი ხალხის აღმშენებლობითი მუშაობას!

გაუმარჯოს მის დარაჯ წითელ არმიას და ხელმძღვანელს—კომუნისტურ პარტიას

გაუმარჯოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს!

საქართველოს კომპარტიის ცკას გაფართოებული პლენუმი

სათემო და სამაზრო კომიტეტების მდივნებთან ერთად შესდგება

დღეს, 24 თებერვალს, დღის 12 საათზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობაში

(რუსთაველის პრ. № 22)

ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს კომპარტიის ც. კ-ტის მდივანი ლომინაძე.

მოწოდება

საქართველოს ყველა მუშებისა, გლეხებისა და მშრომელებისადმი.

3 წლის წინათ, 25 თებერვალს, ბოლო მოეღო გამცემ მენშევიკურ პარტიის ხელისუფლებას. სამი წლის წინათ აფრიალდა ამბოხების დროშა იმპერიალისტური ანტანტის დაქირავებულთა წინააღმდეგ; სამი წლის წინათ საქართველოს მუშებმა და გლეხებმა საბოლოოთ მოსპეს მენშევიკების ბატონობა, ჩასცეს რა მას უკანასკნელი სასიკვდილო ლახვარი.

მენშევიკები დარწმუნებული იყვნენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება დიდხანს ვერ იარსებებდა საქართველოში და ისინი ისევ ააფრიალებდენ სასახლეზე თავის სამფეროვან დროშას. მენშევიკები ფიქრობდენ, რომ ადრე თუ გვიან ისინი ისევ დაიბრუნებდენ ხელისუფლებას. მაგრამ მწარედ მოსტყუვდენ, საბჭოთა ხელისუფლების ჩამოგდების ნაცვლად, მენშევიკების პარტია ამ უკანასკნელ წლებში საბოლოოდ გაიხრწნა.

წარმოადგენდა რა წინეთ მასიურ პარტიას, რომელშიაც შედიოდა მუშათა და გლეხთა დიდი რიცხვი, ის ამ ბოლო დროს გადაიქცა პატარა სექტად, რომელიც სრულებით მოსწყდა მასას. მუშებმა და გლეხებმა დიდი ხანია დასტოვეს მენშევიკების პარტიის რიგები და მხოლოდ დარჩენილი უმნიშვნელო ჯგუფი ინტელიგენტებისა განაგრძობს თავის გაბოროტებულ მოღვაწეობას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

მაგრამ ამ ხელისუფლებამ უკვე დიდი ხანია გაიარა უმძიმესი გზა, მან საბოლოოთ მოსპო და გაასამტვერა ძველი დროის ნაშთები. სამი წლის განმავლობაში კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ძლიერ განმტკიცდა.

მუშურ-გლეხური მასები მტკიცეთ დადგენ საბჭოთა პლატფორმაზე და აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ საბჭოთა მშენებლობაში.

ამხანაგებო მუშებო, გლეხებო და ყველა მშრომელნო! მოიგონეთ მენშევიკების ბატონობა! მოიგონეთ, თუ როგორ აღვივებდენ ისინი საქართველოს და ამიერ-კავკასიის სხვადასხვა ხალხთა შორის ნაციონალურ შუღლს და სიძულვილს! მოიგონეთ სომეხთა და ქართველებს შორის გამოწვეული ხოცვა-ჟლეტა და მენშევიკურ ჯალათის—ჯუღელის სისხლიანი ექსპედიციები სამხრეთ ოსეთში, სამეგრელოში, აფხაზეთში და სხვაგან!

რამდენი სისხლი დაიღვარა მენშევიკების დროს ამ ძმათა შორის ატეხილ ნაციონალურ ომში, რამდენი პატიოსანი მუშა და გლეხი შეეწირა მსხვერპლად ამ კაციჭამია პოლიტიკას! რამდენი დაიღუპა ამბოხების დროს საქართველოს თითქმის ყველა კუთხეებში! ათობით ხვრეტდენ მენშევიკები საქართველოს მშრომელთ იმისათვის, რომ მათ გაბედეს წინააღმდეგობის გაწევა ამ პარტიის საზიზღარ ბატონობისათვის. მათ არ ჰქონდათ საშუალება დაეწყოთ მშვიდობიანი ცხოვრება და შესდგომოდენ დანგრეულ მეურნეობის აღდგენას.

საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებამ საქართველოში ბოლო მოუღო ერთა შორის სიძულვილის ამ პოლიტიკას. ნაციონალური შუღლისა და სიძულვილის ნაცვლად მან დაამყარა ნაციონალური მშვიდობიანობა და ინტერნაციონალური სოლიდარობა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მთელი ხნის განმავლობაში მუშებმა და გლეხებმა პირველად მიიღეს შეძლება დაესვენებიათ მუდმივი ომებიდან და დაეწყოთ მშვიდობიანი ცხოვრება. და ჩვენ ვხედავთ რამდენის გაკეთება შესძლო საბჭოთა ხელისუფლებამ ასეთი მოკლე ხნის განმავლობაში სოფლის მეურნეობის და მრეწველობის აღდგენის დარგში. მუშათა და გლეხთა თავგანწირული შრომით გაყვანილია მთელი რიგი სარწყავი არხებისა, შენდება ფაბრიკები და გაყვანილია რკინის გზა (ოზურგეთ-ნატანების). ამ უახლოეს დროში დასრულდება მთელ რიგ უდიდეს ელექტრო-სადგურების აგება. მიწის საკითხი საბოლოოთ გადასჭრა საბჭოთა ხელისუფლებამ. მემამულეთა ყველა მიწები გადაეცა ულარიბეს გლეხებს. განათლების საქმეს მიქცეული აქვს ფრიად სერიოზული ყურადღება. სკოლების, მასწავლებლების და მოწაფეთა რიცხვი საბჭოთა ხელისუფლების დროს გაცილებით მეტია, ვინემ ეს იყო მენშევიკების დროს.

უეჭველია, ამ უდიდეს მუშაობაში იყო ზოგიერთი დეფექტები და შეცდომები, მაგრამ მუშათა და გლეხთა ენერგიული დახმარებით მათ ყოველთვის ვასწორებდით. ახლა ჩვენს წინაშე სდგას რთული ამოცანა: მუშათა და გლეხთა შორის მტკიცე კავშირის შექმნა. ეს შესაძლებელია ეკონომიური დაახლოვების საშუალებით. დიდი ხანია, რაც ამხ. ლენინმა მიგვითითა ჩვენ მუშათა კლასის და გლეხობის ერთმანეთთან დაკავშირების საჭიროებაზე. ამ მიმართულებით ჩვენ ბევრი რამ გავაკეთეთ, ფასები სამრეწველო საქონელზე დაკლებულია როგორც რუსეთში, ისე საქართველოში, რომ ამით შეძლება მიეცეს გლეხებს იყიდონ მათთვის საჭირო საგნები: მარილი, ნავთი, ჩითი და სხ... მეორე მხრით, მიღებული იყო ზომები სოფლის მეურნეობის ნაწარმოებზე ფასების გასადიდებლათ. ჩვენ ამასაც მივაღწიეთ.

საქართველოს გასაბჭოების მესამე წლის თავზე ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მუშათა და გლეხთა ხელისუფლება ძლიერ განმტკიცდა და მშრომელთა მასის ნდობა და პატივისცემა კომუნისტური პარტიისადმი შეიქმნა ურყევი.

გაუმარჯოს საქართველოს გასაბჭოების სამი წლის თავს!

გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა კავშირს!

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირს და მის მებაირახტრეს—კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს!

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლ.) ცენტრალური კომიტეტი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლ.) ტფილისის კომიტეტი.

სამი წელი

სამი წლის წინედ კომუნისტურმა პარტიამ გადასდგა ისტორიული ნაბიჯი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს მშრომელი ხალხისა და მსოფლიო რევოლუციისათვის.

სამი წლის წინედ ჩვენმა პარტიამ, საქართველოს რევოლუციონურ მშრომელთა აქტიური თანაგრძნობით და წითელი არმიის დახმარებით ჩამოაგდო მენშევიკები და ხელთ აიღო მთელი ძალა უფლება, ე. ი. სახელმწიფოს ნამდვილი ბატონ-პატრონი გახდნენ მუშები და გლეხები.

ეს არ ნიშნავდა ერთი მთავრობის იმგვარ შეცვლას მეორეთი, როგორც ჩვეულებრივ ხდება ბურჟუაზიულ ქვეყნებში. ეს იყო ერთი სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური სისტემის ძირეული შეცვლა სხვა, სრულებით საწინააღმდეგო სისტემით.

ვინ იყვნენ მენშევიკები და რას წარმოადგენდა მათი წყობილება?

დღეს ეს ყველამ იცის, ყოველმა უბრალო მუშამაც და გლეხმაც.

ამხ. ტროცკიმ მენშევიკების საქართველო დაახასიათა, როგორც იმპერიალიზმსა და რევოლუციას შორის მოქანავე ქვეყანა.

ქანაობა, მერყეობა—ეს მთავარი თვისებაა ყოველი წვრილ-ბურჟუაზიული პარტიის, ჯგუფის, პირის.

საქართველოს მენშევიკური პარტია იყო კლასიკური წვრილ-ბურჟუაზიული პარტია.

რევოლუციის პირველ ხანამ, მთელი რიგ ისტორიულ პირობების წყალობით, ამ პარტიას არგუნა ჩვენი ქვეყნის მესვეურობა. ეს იმ დროს, როცა ორი მთავარი ძალა—რევოლუცია და იმპერიალიზმი სამკვდრო-სასიცოცხლოდ ალიმართა ერთი მეორის წინააღმდეგ. აქ შეუძლებელი იყო მესამე, განსხვავებული ძალის როლის თამაში, ან განზე გადგომა, მით უმეტეს ჩვენს ქვეყანაში, რომელიც თავისი გეოგრაფიული მდებარეობით იმყოფება მსოფლიო გზაჯვარედინზე, ორ ქვეყანას შუა, რომელთაგან ამავე დროს ერთი იყო ცენტრი იმპერიალიზმის, მეორე—კერა პროლეტარული რევოლუციის.

მენშევიკები მათმა წვრილ-ბურჟუაზიულმა ბუნებამ, რევოლუციონური გაქანების უქონლობამ, მეშჩანურმა ზომიერებამ, ინსტინქტიურმა შიშმა რევოლუციის მიმართ იმპერიალიზმის გავლენის წრეში მოაქცია.

მათმა ქებულმა „ნეიტრალობამ“ საქართველო ფაქტიურად გადააქცია მსოფლიო რეაქციის და იმპერიალიზმის ბაზად რუსეთის პროლეტარულ რევოლუციის წინააღმდეგ.

დასავლეთის იმპერიალისტები გვირჩენია აღმოსავლეთის ფანატიკოსებს“—ასე გამოაცხადეს მენშევიკებმა ჟორდანიას პირით და ამგვარად საჯაროდ უარყვეს „აღმოსავლეთის ფანატიზმი“, ე. ი. რევოლუცია, კომუნიზმი, და წამოიჩოქეს დასავლეთის იმპერიალიზმის წინაშე.

რა შედეგს მოუტანდა საქართველოს ასეთი ორიენტაცია ეროვნული ინტერესების თვალსაზრისით, რომლებზე მენშევიკებს ასე უყვარდათ მოთქმა, ეს თავის თავად ცხადია.

ჩვენ ვიცით, კაპიტალისტურ ქვეყნების ნაციონალური პოლიტიკა, დაჩაგრულ ქვეყნების გადაქცევა კოლონიებად, მათგან ამოწურვა ეკონომიურ შესაძლობათა, მათი გაჩანაგება.

ჩვენი ხალხის ბედის შეფასება იმპერიალიზმის კალთებ ქვეშ,—ეს ისეთი შეუსაბამობა იყო, რომლის მსგავსის წარმოდგენა მართლაც რომ ძნელი საქმეა.

საქართველოს, როგორც ეს თავზე გადაატყდათ იმპერიალიზმის კოლონიალურ სამფლობელოებს, მოელოდა მენშევიკების ორიენტაციის წყალობით სრული დამონება, თანდათანი გადაშენება.

მაგრამ ცხადია, მენშევიკებმა კაპიტალისტური დასავლეთის ორიენტაცია მიიღეს არა საქართველოს სიყვარულით, არამედ რევოლუციის შიშით.

ჩვენ ვიცით, რომ მენშევიკების საშინაო პოლიტიკა სავსებით ეფარდებოდა მათი ამ საერთაშორისო ორიენტაციას, მათ წვრილ-ბურჟუაზიულ ბუნებას.

ეროვნული შუღლის გაღვივება ჩვენში მცხოვრებ და მეზობელ ხალხებ შორის, მუდმივი ნაციონალური ომი; არც ერთი ძირითადი სოციალური რეფორმა, შეძლებულ კლასების დატოვება ხელუხლებლად; ბურჟუაზიულ სახელმწიფო დაწესებულებების მოწყობა და მშრომელი მასის ფაქტიური პოლიტიკური უუფლებობა; ბურჟუაზიული და ბიუროკრატიული მეთოდები და ფორმები მართვა-გამგეობაში; მშრომელი ხალხის მუდმივი აჯანყებები და მათთან შეუბრალებელი ბრძოლა; კაპიტალისტური ღონისძიებანი ქვეყნის სამეურნეო აღორძინებაში და მათი სრული გაკოტრება, რესპუბლიკის გადაჩეხვა ეკონომიურ კატასტროფის უფსკრულში,—აი საერთო სურათი მენშევიკური საქართველოსი.

ამგვარად, მენშევიკებმა, დაუკავშირეს რა ჩვენი ქვეყნის ბედი დასავლეთის იმპერიალიზმს და შეუდგნენ რა შიგ ბურჟუაზიულ დემოკრატიულ წყობილების განმტკიცებას,—საფრთხეში ჩააგდეს ქართველი ხალხის ეკონომიური და ეროვნულ-კულტურული მომავალი, ამასთან გაამაგრეს მსოფლიო რეაქცია რევოლუციასა და საბჭოთა რუსეთთან ბრძოლაში.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მენშევიკური საქართველოს მაგალითით მეორე ინტერნაციონალი ებრძოდა კომინტერნს, საბჭოთა სისტემას.

მენშევიკური საქართველოს სინამდვილე ნათლად ჰყოფდა ყვითელი ინტერნაციონალის პოლიტიკის გაკოტრებას, მაგრამ ყალბი ინფორმაციით და სხვა საშუალებებით კაუტსკი და მისი კოლეგები ჩვენს ქვეყანას დემოკრატიულ სამოთხედ ხატავდნენ, აქ ხედავდნენ თავიანთი იდეების გამარჯვებას და მას უპირდაპირებდნენ ჭეშმარიტად რევოლუციონურ საბჭოთა რუსეთს.

კომუნისტური პარტიისათვის, პირველ ყოვლისა საქართველოს კომუნისტებისათვის მწვავედ დაისვა საკითხი ქართველი ხალხის ხსნისა მენშევიკების დამღუპველი პოლიტიკისაგან, მისი ზიარებისა რევოლუციის მაცოცხლებელ წყაროსთან, რაც იქნებოდა უტყუარი პირობების შექმნა ჩვენი ხალხის ეკონომიურ და ნაციონალურ-კულტურულ განვითარებისათვის სოციალისტურ საფუძვლებზე. ერთხელაც არის ბოლო უნდა მოღებოდა იმ კომედიას, რომელსაც მენშევიკები თამაშობდნენ სამი წლის განმავლობაში.

და ჩვენმა პარტიამ, სრული პასუხისმგებლობის შეგნებით, ხალხისა, რევოლუციისა და ისტორიის წინაშე, გადასწყვიტა მუშების და გლეხების გამცემლების ალაგმვა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში.

ეს გადაწყვეტილება კიდეც იქნა მოყვანილი სისრულეში. სამი წლის წინედ დაემხო მენშევიკების ბატონობა და აფრიალდა წითელი დროშა რევოლუციის.

ფრიად ძნელი იყო მუშაობის პირობები მუშურ-გლეხურ ხელისუფლებისათვის.

მენშევიკების ნაციონალისტურ პოლიტიკას თავისი უარყოფითი გავლენა ჰქონდა ქართველი საზოგადოების ნაწილზე. მათი ინფორმაცია ათასი ჭორებით, პროვოკაციით კვებავდა ხალხს ბოლშევიკების შესახებ. ისინი ისე აჩვენებდნენ ხალხს, თითქო ბოლშევიკები ყოფილიყვნენ მხოლოდ დამანგრეველნი, ეროვნული კულტურის მომსპობნი, ხალხის სახელმწიფოებრივ უფლებების ამხდელნი და სხ.

ამ ბოროტი ინფორმაციის ატმოსფერაში, წვრილ-ბურჟუაზიულ ინტელიგენციის საბოტაჟის და ათასგვარ სხვა დაბრკოლებათა პირობებში მოგვიხდა ახალი წყობილების განმტკიცება.

ამასთან ეკონომიურად ჩვენი ქვეყანა დანგრეული, გაჩანაგებული იყო. რაც გადარჩენოდა მენშევიკების სამი წლის ბატონობას, ზურგზე წამოიკიდეს მათ და საზღვარ-გარედ გაიტაცეს.

მიუხედავად მრავალგვარი ხელოვნური და ობიექტიური სიძნელისა, მუშურ-გლეხური მთავრობა შეუდგა ახალი სახელმწიფო აპარატის განმტკიცებას და აღმშენებლობითი მუშაობას.

ჩვენ აქ არ გამოუდგებით იმის ჩამოთვლას, თუ რა შედეგებს მივაღწიეთ ამ მხრივ სამი წლის განმავლობაში. მკითხველი მათ გაეცნობა ჩვენს გაზეთში დღეს მოთავსებულ მასალებიდან. ვიტყვით მხოლოდ, რომ აღმშენებლობითი მუშაობა უდიდესი იყო, და მრავალი მნიშვნელოვანი მიღწევებიც გვაქვს ცხოვრების ყოველ დარგში.

ჩვენს საქმიანობას არ შეეძლო გადამწყვეტი გავლენა არ მოეხდინა ყველა იმ ელემენტებზე, პირველ ყოვლისა მუშებსა და გლეხებზე, რომელნიც ახალი წყობილების პირველ ხანებში ერთგვარი ეჭვის თვალით და ხანდახან მტრობითაც ეკიდებოდნენ ჩვენს პარტიას, საბჭოთა ხელისუფლებას.

მშრომელი ხალხი მოლიანად დადგა საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე და კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ.

გასაბჭოების მესამე წლის თავზე ჩვენში საბჭოთა ხელისუფლება განმტკიცებულია, პრობლემა ხელისუფლების საბოლოოდ გადაჭრილია.

ყველა ანტისაბჭოთა პარტიები დაიშალენ, და მთელი ხალხი შემოკრებილია მუშურ-გლეხური მთავრობის გარშემო.

დღეს ჩვენი ხალხისათვის შექმნილია მშვიდობიანი არსებობის და მყუდრო მუშაობის პირობები. გასრესილია შინაური კონტრ-რევოლუცია. ჩამოვარდნილია სრული მშვიდობიანობა და სოლიდარობა ერებს შორის. ჩვენი პატარა ქვეყანა შედის საბჭოთა რესპუბლიკების დიდ კავშირში და ამის გამო უზრუნველყოფილია მისი ყოველმხრივი განვითარება.

დღეს-დღეობით ჩვენ არც გარეშე საფრთხე გვემუქრება. ჩვენი სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიური სიმტკიცის წინაშე ქედს იხრიან კაპიტალისტური სახელმწიფოები, რომელთაგან ზოგიერთმა იურიდიულადაც გვიცნო.

ამგვარად, საბჭოთა ხელისუფლების მესამე წელს ჩვენ ვხვდებით განმტკიცებულნი და გაკაჟებულნი.

ცხადია, ჩვენ ბევრი რამ გვაკლია, ბევრი ნაკლულევანებანი გვქონდა მუშაობაში, მაგრამ წარსული მიღწევები, მშრომელთა ენერგია და თვით საერთაშორისო მდგომარეობის შეცვლა ჩვენ სასარგებლოდ უტყუარი თავდებია იმის, რომ მიღწეულ გამარჯვებებს შევინარჩუნებთ, გავაფართოვებთ და მედგრად წავალთ წინ იმ გზით, რომელიც გვიანდერძა მსოფლიო რევოლუციის ბელადმა ამხ. ლენინმა.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების დიდ კავშირს!

სამი წლის თავი

25 თებერვალს სამი წელი შესრულდება, რაც მენშევიკური მთავრობა დამარცხდა საქართველოში და მისი ადგილი დაიჭირა მუშურ-გლეხურმა მთავრობამ.

თუ მენშევიკური მთავრობა სიტყვით ბევრს ლაპარაკობდა სოციალიზმზე, მშრომელი კლასის განთავისუფლებაზე, ამას საქმით არ ანხორციელებდა და უფრო ემსახურებოდა ბურჟუაზიას, მემამულეებს.

მენშევიკურმა მთავრობამ თავის სამი წლის არსებობის განმავლობაში ვერაფერი გააკეთა ჩვენი ქვეყნისთვის, ვერც მუშათა მდგომარეობა გააუმჯობესა და ვერც გლეხობას გაუმართლა დიდი ხნის იმედი, ვერაფერი მისცა მათ, მიწა-წყალი ისევე მემამულეების ხელში დასტოვა და ყიდვა-გაყიდვა დააკანონა.

მენშევიკური მთავრობის საქმიანობა უფრო ლაყბობაში გამოიხატებოდა, მენშევიკები ყალბი არჩევნების წყალობით ჯოგს წარმოადგენდნენ პარლამენტში და საითაც და როგორც მოესურვებოდათ, იქითკენ გაჰქონდათ ლილო, მუშებს და გლეხებს არავითარ ანგარიშს არ უწევდენ.

ხოლო დიდ საქმიანობას იჩენდენ ჭორების გავრცელებაში, რომელიც მიმართული იყო ბოლშევიკურ პარტიის წინააღმდეგ. საბჭოთა წესწყობილებას ისე გვიხატავდენ, როგორც დამღუპველ მოვლენას, საფრთხობელას.

მაგრამ სინამდვილემ სულ სხვა დაგვანახვა 1921 წლის 25 თებერვლის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ სამმა წელმა გაიარა მას შემდეგ, რაც საქართველოს მშრომელმა ხალხმა, მუშებმა და გლეხებმა თავიანთ საკუთარ ხელში აიღეს ძალა-უფლება, მაინც ბევრი რამ გაკეთდა ამ მცირე ხნის განმავლობაში თუმცა მათ ისეთ პირობებში მოუხდათ მუშაობა, როდესაც ყველაფერი აწეწილ-დაწეწილი იყო, მეურნეობა განადგურებულ დანგრეული, ყველაფერი გაძარცულ-გაქურდული.

ამ სამ წელში გაასკეცებული ენერგიით შეუდგა მუშურ-გლეხური ხელისუფლება როგორც შინაურ-დანგრეულ-აწეწილ მეურნეობის აღდგენას, ისე მის გარეშე მუშაობას საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის. შეიქნა საქართველოს წითელი ჯარი, რომლის მიზანია მუშური ხელისუფლების განმტკიცება შინით და გარეთ კი მუდამ ფხიზელი დარაჯობა, რომ იმპერიალისტ-დამპყრობლების საჯიჯგნათ არ გახდის ჩვენი ქვეყანა ისე, როგორც ამას აღწევდენ მენშევიკურ მთავრობის დროს. ხოლო საქართველოს წითელი ჯარი მთელი საბჭოთა რესპუბლიკების წითელ ჯართან ერთად მუდამ მზად იქნება გაილაშქროს იქით, საითაც კი ამას მოითხოვს მსოფლიო პროლეტარიატის ინტერესები.

თუ დღეს იმპერიალისტურ-ბურჟუაზიული სახელმწიფოები სცნობენ საბჭოთა ხელისუფლებას, ეს მიეწერება წითელი ჯარის სიძლიერეს.

ამ სამი წლის განმავლობაში მუშურ-გლეხურმა ხელისუფლებამ შესძლო ის, რაც მოუხერხებელი და საოცნებო იყო ძველად.

გაყვანილ იქნა სოფლად სარწყავი არხები, აშენდა ახალი რკინის გზა, შენდება ავჭალის ელექტრონის სადგური და ფართოთ სწარმოებს სწავლა-განათლების გავრცელება, რომელიც ესოდენ საჭიროა ჩვენი ჩამორჩენილი ქვეყნისათვის.

ამისათვის სიხარულით ვეგებებით საქართველოს მშრომელ ხალხის ზეიმს, 25 თებერვალს და ფიცს ვსდებთ, რომ განვამტკიცებთ ჩვენი თავდადებული მუშაობით მშრომელი ხალხის ხელისუფლებას, რომელიც თავდებია ჩვენი მუშების, მთელი ერის წინსვლისა და კულტურული აყვავების.

გაუმარჯოს მშრომელი ხალხის ხელისუფლებას მთელ მსოფლიოში.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს ჩვენ წითელ ჯარს!

ახალ-მწყობი პ. ახალკაცი.

სამი წლის თავზე

სწორედ სამი წლის წინედ, 1921 წლის 25 თებერვალს, დაემხო ჩვენში ყველა გამცემელ პარტიების ბატონობა და გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება. რა იყო წინედ და რა არის ეხლა?

წინედ ყველა ბატონობდა, ვინც გინდა ყოფილიყო ის—„მშვიდობიანობის დამცველი“ თუ ხალხის მოღალატე. მათთვის სულ ერთი იყო, ოღონდ მას კი ეცხოვრა კარგად. ისინი სუქდებოდენ მუშის შრომით და ასხდნენ მუშას კისერზე. მშრომელ ხალხს მაშინდელი გაბატონებული კლასი არაფრად სთვლიდა.

გასაბჭოვებამდის საქართველოში სუფევდა ეროვნული შური, ნაციონალური ომები, ძარცვა-გლეჯა, ერთმანეთში შურისძიება და სხვა ბევრი რამეები, რომელსაც ბოლო არ უჩანდა.

მაგრამ 25 თებერვლის მძლავრმა ქარიშხალმა შემოარტყა თავისი მძლავრი რკალი ამ უსამართლოთა ბანაკს და დაამსხვრია მათი ტახტი.

რა მოხდა მას შემდეგ?

მოხდა ის, რასაც სულით და გულით ელოდნენ საქართველოს მუშები და გლეხები.

დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება.

რა გააკეთა საბჭოთა ხელისუფლებამ მისი დამყარების დღიდან?

მან სამუდამოდ მოსპო ეროვნული ომები, შექმნა ამიერ-კავკასიის ერთა მტკიცე კავშირი.

რა დახვდა მას მის შემოსვლისთანავე? არაფერი, გარდა ნანგრევებისა.

მან აშენა ამ ნანგრევებზე ახალი ქვეყანა, განამტკიცა პროლეტარიატის და გლეხის გული და რწმენა.

დღეს გამარჯვებული მუშები და გლეხები თამამად ვაცხადებთ, რომ 25 თებერვალი საქართველოს მშრომელ ხალხისათვის საზეიმო დღეა.

ყველას გვიყვარს 25 თებერვალი, ეს გამანთავისუფლებელი და დაუვიწყარი დღე.

დღეს ვზეიმობთ ყველა მუშები და გლეხები, არა თუ მარტო აქ, ამიერ-კავკასიაში, არამედ მთელ საბჭოთა ქვეყნებში.

და ფრიად სამწუხაროა ჩვენთვის, რომ ამ ზეიმში მონაწილეობას ვერ იღებს ჩვენი ბელადი ამხ. ლენინი, მაგრამ მისი მოწაფეები და მისი პარტია ჩვენთან, მუშებთან, არიან.

სამი წლის თავზე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება მტკიცეა, ვით სალი კლდე. ჩვენი მშრომელი ხალხი ზურგგამაგრებული, წითელი დროშით ხელში მტკიცედ სდგას აღმოსავლეთის კარებთან, რომ გაუწოდოს აღმოსავლეთის ერებს ძმური ხელი, რომ ახლო მომავალში მათთან ერთად იდღესასწაულოს მსოფლიო თებერვალი.

გაუმარჯოს 25 თებერვალს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლუციას!

ახალ-მწყობი მიშა კობაძე.

სამი წლის თავზე

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელ მუშა-ქალებს, მუშებს და ყველა პატიოსან მოქალაქეთ.

ამხანაგებო და მოქალაქენო!

25 თებერვალი მუშურ-გლეხურ საქართველოს რევოლუციონურად განმტკიცების დღეა.

ამ სამი წლის წინეთ მუშები და გლეხები განთავისუფლდენ მძარცველ იმპერიალისტებისაგან და მატყუარა მენშევიკებისაგან,—ჟორდანიას, ჩხენკელის, ჩხეიძის, წერეთელის და მათ მსგავსთაგან..

სამმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც დამყარდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება. რამდენად ეს უკანასკნელი იყო და არის ცხოველმყოფელი და საკეთილდღეო მშრომელთათვის, სჩანს ჩვენი ხელისუფლების დღევანდელი ძლიერი მდგომარეობიდან.

რამდენად ჩვენმა ხელისუფლებამ შესძლო ყველა დაბრკოლებათა გადალახვა მშრომელთა საკეთილდღეოდ, თქვენ შეგიძლიათ დაინახოთ უბრალო შედარებიდან წინანდელ მდგომარეობისა ახლანდელ მდგომარეობასთან, **თუ რა ვიყავით წინეთ და რანი ვართ დღეს...**

დიდი რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის და ამიერ-კავკასიის საერთოდ და საქართველოსი კერძოდ,—ახლო წარსული მშვენიერად გვეუწყება, თუ როგორი სისასტიკით გვებრძოდენ მაშინ ჩვენ ყველა ჯურის კონტრ-რევოლუციონერები შინა და გარეთ და როგორ გაუცრუვდათ იმედები ყველა იმათ.

ამას ჩვენ მივაღწიეთ თქვენის დახმარებით, რადგან ჩვენ თქვენთან ერთად გვამხნევებდა და გვაკაჟებდა შრომის მეფობის განმტკიცების სურვილი და მისწრაფება ხალხთა შორის სოლიდარობის დამყარებისათვის, ნაციონალისტური კაცისმჭამელი პოლიტიკის უარყოფისა და მთელ მსოფლიოში კომუნიზმის განხორციელებისათვის.

საბჭოთა მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას უნდა ვუმადლოდეთ, რომ ჩვენ, ღარიბმა ეკონომიურად, შედარებით ავაყვავეთ მრეწველობა, სწავლა-განათლება, სოფლის მეურნეობა და სხვა, ჩვენი სუსტი ძალებით, განვამტკიცეთ პროლეტარიატის დიქტატურის ქვეშ, კომპარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხელისუფლება დედამიწის ზურგის ერთ მეექვსედ ნაწილზე.

ყველა სახელმწიფოები, რომლებიც დღემდი კბილის ღრჭენით, იარაღის ჩხარუნით და რკალის შემორტყმით რომ გვიპირებდენ განადგურებას,—დღეს ქედს იხრიან ჩვენს წინაშე და ერთი მეორეს უსწრობენ ჩვენს იურიდიულად ცნობაში და ჩვენთან ყოველგვარი კავშირის დაჭერაში.

ეს ხდება მაშინ, როცა ჩვენ ულმობელმა სიკვდილმა გამოგვაცალა ხელიდან საბჭოთა ხელისუფლების სულისჩამდგმელი, უბადლო ბელადი მთელი მსოფლიოს პროლეტარულ რევოლუციისა,—**ამხ. ილიჩი—ლენინი.**

რის მომასწავებელია ეს, ამხანაგებო და მოქალაქენო?

მხოლოდ იმის, რომ კაცობრიობას დაუდგა ახალი დრო, მისი ახალი ისტორია დაიწყო და რომ ამ ახალი ისტორიის პირველი ფურცლები საბჭოთა ხელისუფლებამ გმირული ბრძოლით 6 წლის განმავლობაში სისხლით დასწერა.

ამიტომ ამიერიდან საბჭოთა ხელისუფლებამ წინამძღოლობა უნდა გაუწიოს მთელ მსოფლიო პროლეტარიატს და დაჩაგრულ ხალხებს კაპიტალიზმთან ბრძოლაში და მთელ დედამიწაზე სოციალიზმის დასამყარებლად..

ამხანაგებო და მოქალაქენო! დღეს სამი წელი სრულდება, რაც საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება და ამიერ-კავკასიის სხვა ხალხებთან ერთად ის შევიდა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების დიდ კავშირში.

დადებითი შედეგები ამ მოვლენისა თქვენ თვალწინ [illegible] მას აღნიშ[illegible] საბჭოთა რუსე- ვიტყვი მხოლ[illegible] 5,735,000 დესეტინა დე და ძმური [illegible] გადაეცემა.

მელიც სოფლის კლა გამოცვლა ახან-ლებთან, დიდ[illegible] და სპარსეთის საქართველოს[illegible] ამის შორის.

ეს იმის [illegible]

ქართველო[illegible] 22 თებერვალი. ლინნ-ლონეს [illegible] განთის სინდიკატმა ხელშე-კულტურ[illegible] დადო სპარსეთის ფირ-მიების [illegible],000 ფუთ ასანთის გაცვლის საბჭოთ ბრინჯზე; ხელშეკრულების ამ სამი ერთ ფუთ ასანთში სინდიკა-კავკასი[illegible]ებს 4 ფუთ ბრინჯს. სინდი-ვიდა სპარსეთში გასასყიდათ გზავნის პუბლი[illegible] დიდ პარტიას.

ლადღოის ნიმუშები იგზავნება აგ-როდ ოსმალეთში.

კავკას[illegible] პარტახტიანი ტიფი.

ყველა

ხორც[illegible]. 22 თებერვალი. ლი[illegible]სა და გუბერნიაში მეტად გავრცელებულია პარტახტიანი ტიფი.

ამხ[illegible]

მო ზედამხედველობა, 6) მუშებსა [illegible] და დამქირავებელთა შორის აღმოჩენილ კონფლიქტების შესწავლა, [illegible] კოლექტიური ხელშეკ. დაწესებული [illegible] მის პირობების და შრომის ხელ[illegible]ის შესწავლა, 7) აღრიცხულ პრო[illegible]ქტთა ღირებულების გამორკვევა, [illegible] სოციალურ დაზღვევის საკითხე[illegible] გამორკვევა და სხ. შრომის [illegible]სტატისტიკის ორგანოს არც ერთი [illegible]ხსენებული საკითხი არ დარჩე[illegible] გაუშუქებლად. ეს კი ყოველ[illegible] საშუალებას აძლევდა კომი-თა [illegible] სწორი ხაზი იმ [illegible]ისათვის, რომელიც და-[illegible]ერთიანებულ[illegible]ნდა მას.

პუბლიკების—ა[illegible]

და სამხრეთ ოსეთის სახ. კომისა-

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციას!

ძირს იმპერიალიზმი — კაპიტალიზმი!...

გაუმარჯოს კომუნიზმს-ლენინიზმს, როგორც ერთად ერთ ჭეშმარიტ რევოლუციონურ მარქსიზმს!

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მიხა ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ჭარმენ ხაზაშვილი.**

ტფილისი—სასახლე.

21 თებერვალი 1924 წ.

მოგონება

(წითელი თებერვლის ზეიმობის გამო)

დავიბადე თუ არა, თითქმის მაშინვე ვიგრძენი, რომ მე გავჩნდი ყმა, მონა, მუშა. მაშასადამე, ვის წინააღმდეგ უნდა მიმართულიყო ჩემი ბრძოლა? რასაკვირველია, ვისი მონაც ვიყავი. ვის მხარეს უნდა ყოფილიყო ჩემი სიმპატია? რასაკვირველია, რომელ კლასსაც მე ვეკუთვნოდი. რომელი ენა უნდა ყოფილიყო ჩემთვის პირველი? რასაკვირველია, დედა ენა! ამ ძლიერი მიზეზების გამო, სამართლიანი იქნებოდა ყოველთვის ჩემი კლასის სადარაჯოზე ვმდგარიყავ. ასეც მოვიქეცი: სიტყვით თუ საქმით ვიცავდი იმ კლასს, იმ ენას, რომელსაც მე ჩემად ვთვლიდი.

დაინგრა მტარვალთა ტახტი. ამისრულდა ნატვრა. ჩემ გულუბრყვილობას ეგონა ბრძოლა მორჩა, გათავდა: ახლა ყველა თავისუფლად ვიშრომებთ და მშვიდობიანად ვიცხოვრებთ... არალეგალურად შენახული რევოლვერი გადავაგდე. მაგრამ მოტყუვდი. ატყდა სამოქალაქო ომი. გამოჩნდნენ დენიკინელები. დაიწყეს დაცემა, მოტაცება.. ისევ თოფი! ისევ სადარაჯო! ომი თათრებთან, სომხებთან, რუსებთან... ველარ ვამჩნევდი მტერსა და მოყვარეს. ჩემი მიზანი იყო მხოლოდ მენაპოვართა გადარჩენა.

სამი წლის წინედ თებერვლის პირველ რიცხვებში კიდევ გავარდა ხმა: მტერი მოდის! „მტერი“. კიდევ თოფი! კიდევ სადარაჯო!

სამი წლის ჩაძახილი ყურში გვედგა: დიდსა და პატარას ამოგხოცავენ! არავის დაგინდობენ!.. ისმის ქვითინი, წუილი!..

მაგრამ რას ვხედავთ?

მოდის წითელი არმია დინჯად, მშვიდად, დისციპლინით. არავის აქვს ნება სამელი გაყიდოს. ყველაფერი მოაზრებულია. არავითარი ხოცვა, არავითარი ძალადობა. ტფილისის ქუჩებს ისევ ქართული წარწერები; სამმართველოებში ქართული განცხადებები; ეროვნული პატივისცემა... თურმე ბოლშევიკები ებრძოდენ ჩაგრულთა მჩაგვრელებს, ხალხის მტრებს!.. რასაკვირველია, ვისაც ბრძოლაში შვილი მოუკვდა, ან ძმა, მისი გული ადვილად არ მობრუნდება, მაგრამ უმსხვერპლოდ შეუძლებელია რამეს მოპოვება...

სრული იმედი მაქვს, რამდენიც უფრო ადრე მოისპობა საქართველოში არსებული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლა, იმდენათ უფრო ადრე ჩამოყალიბდება მშრომელთა ცხოვრება.

მეც, ერთი მუდამ მშრომელთა სადარაჯოზე მდგომი მუშა შევასრულებ მომავალშიც ჩემ მოვალეობას საქართველოს და ჩვენი კავშირის სხვა მუშებთან ერთად.

მუშა გიგო ხეჩუაშვილი.

საქართველოს გასაბჭოების სამი წლის თავი

1924 წლის 25 თებერვალს ჩვენ ვდღესასწაულობთ საქართველოს გასაბჭოების სამი წლის თავს. ამ დღის მნიშვნელობა დღეს ყველასათვის გასაგებია, როდესაც თვალწინ გვაქვს გადაშლილი ამ სამი წლის განმავლობაში მომხდარი ამბები და საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩატარებული მუშაობა. ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში გააკეთა ყველაფერი რაც შესაძლებელი იყო. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდი ბატონობდა და გამეფებული იყო ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ხელისუფლება, მენშევიკების სახით, რომლებიც ამტკიცებდნენ ბურჟუაზიულ წყობილებას. მშრომელი ხალხის იმედები მენშევიკურმა მთავრობამ ვერ გაამართლა. მენშევიკებმა, მშრომელი კლასის ბატონობის მაგივრად, შემოიღეს საყოველთაო არჩევნები, ფიქტიური დემოკრატიული დაწესებულებანი, რაც ნიშნავდა პროლეტარიატის და ღარიბ-გლეხების დამონავებას და შეძლებულ, ბურჟუაზიულ კლასის ხელში ძალა-უფლების გადაცემას. მემამულეები და კაპიტალისტები დარჩნენ თავთავიანთ უფლებებით. მემამულეებს შერჩათ ხელუხლებლად მიწები, კაპიტალისტებს კი ფაბრიკა-ქარხნები. მუშები და გლეხები ისევ აუტანელ პირობებში დარჩნენ. მენშევიკურმა მთავრობამ საქართველოში მოსახლეობები გადაჰკიდა ერთი მეორეს, და მას ჰქონდა მუდმივი ომი გაჩაღებული. მუდმივმა ომებმა გაანადგურა ხალხი მატერიალურათ. აგრეთვე ჰყავდათ შემოყვანილი საქართველოში იმპერიალისტურ სახელმწიფოების ჯარები. მენშევიკებს მათი დახმარებით რამდენი რევოლიუციონერი მუშის და გლეხის სისხლი დაუღვრიათ, სოფლები გადაუწვიათ და მათი სარჩო-საბადებელი გაუნადგურებიათ! მაგრამ მშრომელი ხალხი მაინც ებრძოდა მენშევიკურ ბატონობას. [illegible] მან [illegible] ძლე წითელი არ- სია, ის უფრო მომაგრო დაამარცხა მუ- ლად ხვდა მთელი მსოფლიოში და 1921 ვისუფლება ჩაგვრა-[illegible] აფრიალა წი- უნდა დაამყაროს ქვეყანაზე, რის მი, კომუნიზმი, მან უ[illegible] საქართველოში წითელი დროშით მთელ[illegible]ს ბატონობა. ყველგან გაამეფოს შრომ[illegible] ხალხის ყველა თალი. ჩვენი წითელი არ- ლი არის საკაცობრიო იდეა[illegible] ლებით არ გავს ძველი დ[illegible] ზიულ ქვეყნების ჯარებს, ძალა-უნებურად და შეუ[illegible]

აშენდა ან შენდება მრავალი ელექტრო-სადგურები, მაგ., რომელიც არის ავჭალის ელექტრო-სადგური, რომელმაც უნდა გაანათოს ასი ვერსის მანძილზე და რომელსაც აქვს 35,000 ცხენის ძალა. ეს სადგური ამ რამოდენიმე ხნის განმავლობაში იქნება დამთავრებული, იქ მუშაობს 2000 კაცი. აგრეთვე იქნა გაყვანილი გურიაში ნატანებიდან ოზურგეთამდე რკინის გზა, თვრამეტი ვერსის მანძილზე, რომელიც დიდი ხანია განზრახული იყო, მაგრამ ვერც ერთმა მთავრობამ ვერ გააკეთა. მხოლოდ საბჭოთა მთავრობამ მშრომელი ხალხის დახმარებით გააკეთა ეს გზა, ზეიმობს გურიის მშრომელი ხალხი ასეთი ფრიად მნიშვნელოვან საქმით. მშრომელმა ხალხმა სათანადოდ შეაფასა კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების რევოლიუციონური და აღმშენებლობითი მოღვაწეობა და მთლიანად ამოუდგა მათ გვერდში. დაიშალა ყველა პარტიები და მათი საუკეთესო და შეგნებული პირები გულწრფელად მიემხრენ კომუნისტურ პარტიას. საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია სამუდამოთ განმტკიცდა. ბურჟუაზიული სახელმწიფოები, რომლებიც ფიქრობდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამარცხებას და ჩვენთან ლაპარაკიც არ სურდათ, დღეს დარწმუნდნენ ჩვენს უძლეველობაში, ეკონომიურ და პოლიტიკურ სიმტკიცეში და ისინი იურიდიულად სცნობენ საბჭოთა კავშირს.

ყველა ამის გამო ჩვენ, საქართველოს მშრომელი ხალხი, 25 თებერვალს ვდღესასწაულობთ.

მართალია, დღეს ჩვენ რევოლიუციის მთავარი გმირი ლენინი აღარა გვყავს. ეს თავისებურ ელფერს დასდებს დღესასწაულს. მაგრამ ჩვენ არ ვსტირით. ლენინმა ჩვენ საკმარისად გაწვრთნილი დაგვტოვა და ჩვენ ფიცს დავსდებთ დიდ მასწავლებლის საფლავის წინაშე, რომ გავაძლიერებთ ჩვენს წითელ ლაშქარს და ავამაღლებთ მის კულტურულ დონეს და მოვამზადებთ მას მომავალ ბრძოლისათვის. საქართველოს მშრომელი ხალხი გაუკეთებს რა ჯამს სამი წლის თავს, არ დაივიწყებს ერთ წუთსაც დიდ მასწავლებლის ანდერძს. ჩვენ გავსწევთ წინ ბრწყინვალე გამარჯვებისაკენ!

გაუმარჯოს საქართველოს გასაბჭოების სამი წლის თავს, გაუმარჯოს წითელ ჯარს! გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას.

ჯარისკაცი დათიკო კალანდაძე.

ოთვა მიწები
იხობას. კაპი-
მსხვილი წარ-
გამოცხადდა
ებათ. ამით
გომარეობა
ია. დაარს-
ა გაყვანი-
რომშრალი
ეთიებული
აგრეთვე

საქართველოს მრეწველობა 3 წლის განმავლობაში

სამი წელი დასრულდა. სამი წელი განუწყვეტელი ბრძოლისა მრეწველობის აღსადგენათ, ბრძოლისა სამეურნეო ნგრევის წინააღმდეგ, წარმოებების ნაყოფიერების გასადიდებლათ და მრავალ დაბრკოლებებთან, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ სამეურნეო დარგში.

1921 წელი.

პირველი—1921 წ.—წელი საქართველოს გასაბჭოებისა მხოლოდ „შესავალი" იყო ჩვენს ახალ ეკონომიურ ისტორიაში.

ჩვენ ვაწარმოებდით წარმოების ბურჟუაზიული ფორმის დანგრევას და თავს უყრიდით დანგრეული მეურნეობის გაფანტულ ნაწილებს და ნაშთებს, რაც მემკვიდრეობად დარჩა პროლეტარიატს. ამ პირველ პერიოდში, მიუხედავად გამოცდილების უქონლობისა სამეურნეო მუშაობაში, მომზადებულ საბჭოთა სამეურნეო მუშაკების უყოლობისა,—მიღწეული იქნა ზოგი რამ და პირველ-ყოვლისა შეჩერებული იქნა ეკონომიური ცხოვრების დაშლა.

მრეწველობის ორგანიზაცია 1922 წელი.

ცოტათ თუ ბევრათ სწორი სამეურნეო მუშაობა საქართველოში იწყება 1922 წლიდან. ამ წელს ახასიათებს აღდგენის „ციებ-ცხელება", მთელ საქართველოში ფართე მასშტაბით იწყება სამელიორაციო მუშაობა. გლეხობა დაბეჩავებული, სახე-დაკარგული ძველი მთავრობის მიერ საბჭოთა ხელისუფლებასთან ხელიხელ-ჩაკიდებული ენერგიულათ ჰკიდებს ხელს ქვეყნის კეთილმოწყობას. იწყება ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზის გაყვანა—გურიის გლეხობის მრავალი წლების ოცნების განხორციელება. ვიწყებთ ნახევარი საუკუნის განმავლობაში უმოქმედოდ მდგომი ჩათახის თუჯის სადნობი ქარხნის აღდგენას, რაც საფუძველს უყრის მძიმე ინდუსტრიას საქართველოში. ამავე წელს ეყრება საფუძველი გრანდიოზულ საქმეს—ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონული სადგურის აგებას, რაც უდიდეს ნაბიჯს წარმოადგენს ჩვენი მეურნეობის ელექტროფიკაციის დარგში.

1922 წლის განმავლობაში ჩვენ გვიხდებოდა რიგების თანდათანობით გადაჯგუფება და ცხოვრებაში გატარება ახალი ეკონომიური პოლიტიკის პრინციპებისა, რომლებიც ასევე თანდათანობით ჩამოყალიბდენ, საწამ წლის დამლევს საბოლოო ფორმები არ მიიღეს.

მეურნეობის გადაყვანა კომერციულ საფუძვლებზე მეტად მძიმე პირობებში ხდებოდა. წარმოება ზოგიერთი დაწესებულებების მოთხოვნილებათა უსასყიდლოდ დასაკმაყოფილებლად ძველებურად გრძელდებოდა, მართალია უფრო მცირე ფარგლებში ვიდრე 1921 წელს; წარმოებების ნედლი მასალის მარაგი თანდათანობით კლებულობდა და მას არაფერი ემატებოდა საბრუნავი თანხების უქონლობას, რკინისგზის მაღალ ტარიფს, წარმოებების სუსტ დატვირთვას, სავაჭრო აპარატის მოუწყობლობას კოოპერაციის სისუსტის პირობებში—ყველა ამას არ შეეძლო არ მოეხდინა მძიმე გავლენა ჩვენს სუსტ მრეწველობაზე.

1923 წელი.

1923 წელმა მრეწველობის წინაშე სახელმწიფო მრეწველობის ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში ერთი წლის არსებობის შედეგ, ახალი ამოცანები წამოაყენა.

როგორც ძლიერი კონკურენტის,—კერძო სავაჭრო ბრუნვის გაძლიერებამ და 1922 წლის შემოდგომაზე სასოფლო-მეურნეობის და მრეწველობის საგნებს შორის ფასების განსხვავების გამო დაწყებულმა გასაღების კრიზისმა—ამ მთავარმა ფაქტორებმა, წარმოებების სუსტად დატვირთვის პირობებში, გამოიწვიეს წარმოებების ნაწილის შეკვეცის და წარმოებების კონცენტრაცია.

1923 წელი მიმდინარეობს მეურნეობაში გეგმიანობის გაძლიერების, მრეწველობის საგნების გამაძვირებელი ზედნადები ხარჯების შემცირების, მტკიცე ბიუჯეტის შექმნის და ტრესტების მტკიცე სავაჭრო პოლიტიკის გამომუშავების ნიშან ქვეშ.

საბრუნავი თანხების სიმცირე, ნორმალური საბანკო კრედიტის უქონლობა და სააქციზო დაბეგვრის მოუწესრიგებლობა — კვლავინდებურად მძიმე პირობებს ქმნიან მრეწველობისათვის.

მიუხედავად მთელ რიგ დაბრკოლებებისა და წარმოებების ნაწილის უკვე გატარებული შეკვეცისა, სახელმწიფო მრეწველობა წლიდან წლამდი მაგრდებოდა როგორც რიცხვის, ისე ხარისხის მხრივ.

ცალკე უნდა აღინიშნოს მუშაობა წარმოებების აღსადგენათ და ახლების ასაგებათ. 1923 წელს ამუშავებული იქნა ჩათახის თუჯის სადნობი ქარხანა, დასრულდა ნატანებ-ოზურგეთის რკინისგზის გაყვანა, ტფილისში მოეწყო სახამებლის ქარხანა, აღდგენილ იქნა გლაუბერის მარილის ქარხანა, მთავრდება შალის ფაბრიკის აგება ქუთაისში, რომელიც აპრილის პირველ რიცხვებში დაიწყებს მუშაობას.

იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად მიიწევს წინ და მაგრდება საქართველოს სახელმწიფო მრეწველობა, მოვიყვანთ ზოგიერთ ციფრებს.

1921 წელთან შედარებით 1922 წელს მომქმედ წარმოების პროდუქციამ მოგვცა განსხვავება 87 პროცენტი:

შევადაროთ ახლა მთავარ წარმოების 22 და 23 წლების პროდუქციის ციფრები ნატურალურ ერთეულებში:

	1922 წ.	1923 წ. პროდუქ.	პროც 1923 წ. შედარებით 1922 წ.
ქვანახშ. წარმოება	1,752.136 ფ	2 630,908 ფ.	150 1
თამბაქოს "	1 367,5 მ. ც.	1.172 6 მილ.	85,8
ტყავის "	20.710 ც.	17 882 ც	86,3
ზეთის "	8.134 ფ.	8 962 ფ.	110
საპნის "	18 523 ფ.	34 226 ფ.	184
პოლიგრაფიულ (მილ. ოტისკები)	30,2 მილ	40,3 მილ.	133,4
კონიაკ-სპირტის	870 ათასი	2 559,3 ათასი	294

ამრიგად, წარმოების უმთავრესი დარგების ნაყოფიერება 1923 წლის განმავლობაში გაიზარდა 10-დან 200 პროც.

პროდუქციის შემცირება კი მოხდა თამბაქოს და ტყავის მრეწველობაში.

თამბაქოს მრეწველობა.

თამბაქოს მრეწველობაში, გასაღების კრიზისის გამო, ჩვ 6 1923 წლის ივლისში იძულებული ვიყავით შეგვეჩერებია ტფილისში სამი თამბაქოს ქარხანა. ამასთან ერთად, გასაღების ბაზრის შემცირებისა და ქართული, და საერთოდ, ამიერ-კავკასიის ბაზრის რუსეთის თამბაქოს ტრესტების ნაწარმოებებით ავსების გამო (რაშიაც საკმაო სიძლიერით სჩანს ვაჭრობის მოუწესრიგებლობა), ჩვენ აგრეთვე იძულებული ვიყავით შეგვემცირებია საწარმოო პროგრამა. მიმდინარე წელში მდგომარეობა ბევრათ უფრო გაუმჯობესდა და თამბაქოს ტრესტი თანდათან იწყებს ბაზრის გაფართოვებას. თუ წინეთ ჩვენი მყიდველი უმთავრესათ იყო შემთხვევითი „საქმის" ხალხი, რომელთაც უნდოდათ ხელის მოთბობა თამბაქოს ნაწარმოებებზე და ჩვენ კუდში მივსდევდით ბაზარს, ახლა ჩვენ გვყავს მყიდველთა მუდმივი და მტკიცე კადრი, რაც საშუალებას აძლევს თამბაქოს ტრესტს თვითონვე მოაწესრიგოს ბაზარი.

ტყავის მრეწველობა.

ტყავის მრეწველობაში პროდუქციის შემცირების მიზეზი არის ნედლი მასალის ნაკლებობა. მსხვილფეხა საქონლის ადგილობრივი ტყავი არ არის გამოსადეგი მძიმე სალანჩო საქონლის დამზადებისათვის და ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ ნედლი ტყავები დავამზადოთ საქართველოს საზღვრებს გარეთ.

ადგილობრივ წვრილ ტყავების აბსოლიუტური გამოუსადეგარობა იძულებულს გვხდის დავამზადოთ ასეთები სომხეთში.

ვინაიდან ნედლი მასალის ინტენსიური დამზადება სწარმოებდა 23 წ. შემოდგომაზე (დამზადების სეზონი), ამიტომ შედეგები (პროდუქციის გადიდება) გამოაშკარავდება მხოლოდ მიმდინარე 24 წელში. ტყავის მრეწველობის ადგილობრივ ნედლი მასალით უზრუნველყოფისათვის გამოცემული იყო დადგენილება, რომელიც ტყავის ტრესტს ანიჭებდა ნედლი მასალის შესყიდვის მონოპოლიას საქართველოს საზღვრებში. ტყავის მრეწველობა დაყენებულია მტკიცე ნიადაგზე და ის სრული აღორძინების გზაზე სდგას.

პროდუქციის გადიდება.

წარმოებათა ნაყოფიერების გადიდებას უნდა მოჰყოლოდა მუშის შრომის ინტენსივობის გაძლიერება. თვით ტყავეულობის მრეწველობაშიაც, რომლის პროდუქცია 23 წელს ნაკლებია 22 წლის პროდუქციასთან შედარებით 13,7 პროცენტით, მუშის შრომის ნაყოფიერება მოგვცა გადიდება 26 პროცენტით — წარმოების კონცენტრაციის და წარმოებათა განმტკიცების შედეგი.

განსაკუთრებით გაძლიერდა მუშა მეტალთონეების შრომის ნაყოფიერება, რაც აიხსნება ლითონის დამამუშავებელ მრეწველობის პროდუქციის საგრძნობლად გადიდებით. ასევე საგრძნობლად გაიზარდა შრომის ინტენსივობა პოლიგრაფიულ წარმოებაშიაც—სტამბებში 60 პროცენტით, ასოების ჩამომსხმელ წარმოებაში 23 პროცენტით.

ქვა-ნახშირის მრეწველობაში გადიდება უდრის 8 პროცენტს.

შრომის ნაყოფიერების დაცემას ადგილი აქვს იმ დარგებში, სადაც შემცირებულ იქნა წარმოება, კერძოთ, თამბაქოს წარმოებაში (1,5 პროცენტი).

სამუშაო ხელფასი.

ნაყოფიერების გადიდებას შეეფარდება სამუშაო ხელფასის გადიდებაც. 1923 წლის განმავლობაში სამუშაო ხელფასი კოლექტიურ ხელშეკრულებების მიხედვით განიცდიდა ცვლილებებს გადიდების მხრივ.

1923 წელს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს უმთავრეს წარმოებებში ერთი მუშის საშუალო სამუშაო ხელფასი უდრიდა საქონლის მანეთებში 22,8 მანეთს, რაც შეადგენს ომამდე არსებული ნორმის 84,8 პროც. ამავე წარმოებათათვის. 1922 წელს ეს ციფრი შეადგენდა ომამდე არსებული ნორმის მხოლოდ 68 პროც. ეხლა ხელახალი კოლექტიური ხელშეკრულებების დადების და სატარიფო ქსელის გაფართოვების დროს, სამუშაო ხელფასის განაკვეთები იზრდება, თუმცაღა არა დიდი ციფრით. ამასთან ერთად სამუშაო ხელფასის გასტუმრების წესების და ვადის დაწესების დროს დიდი ყურადღება ექცევა იმას, რომ უზრუნველყოფილი იქნეს გაცემული ჯამაგირი ფასის დაკარგვისაგან.

ამ რიგად, 1923 წელს მუშის საშუალო ხელფასი დამოკიდებულია მრეწველობის საერთო განვითარებაზე, რომელიც ჯერ-ჯერობით უდრის ომამდე არსებულის 35 პროცენტს.

შავი ქვა.

მრეწველობის ორგანიზაციის საკითხის ამოსაწურავად, საჭიროა ცალკე გამოიყოს შავი ქვის დამუშავების დარგი. დღემდის ამ დარგში სახელმწიფო დაკმაყოფილდა მხოლოდ კონტროლის როლით. სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2-ე ყრილობამ დაავალა სახ. კომისართა საბჭოს მოაწყოს შავი ქვის სახელმწიფოებრივი წარმოება. ეს ამოცანა ნაწილობრივ უკვე შესრულებულია. ჩვენ უკვე ვამუშავებთ სახელმწიფო მაღანს, გვაქვს ორი სარეცხავი ქარხანა და დამზადებულია 15 მილიონი ფუთი შავი-ქვა საზღვარ-გარეთ გასატანად. ყველა ამ ფაქტორებით აღჭურვილები ჩვენ დამოუკიდებელ სახელმწიფო სამრეწველო ორგანიზაციის უფლებით შევედით „ჩემოში", სადაც პირველი ადგილი დავიკავეთ.

სახელმწიფო შავი-ქვის წარმოების მოწყობა დიდ მიღწევათ უნდა ჩაითვალოს; ეს არის აგრეთვე ნიშანი ახალი ხანის დასაწყისისა საქართველოს შავ-ქვის მრეწველობაში.

სავაჭრო პოლიტიკა

თუ წარმოების ორგანიზაციის დარგში ჩვენ მივაღწიეთ სწრაფ და დიდ გამარჯვებას, მაშინ ჩვენი შინაური ვაჭრობის და მისი მოწესრიგების საქმეში ჩვენს წინ დასმულია კიდევ უფრო მეტი ამოცანები. ვიყავით რა ჩაბმული მხოლოდ და მხოლოდ მრეწველობის ორგანიზაციის და მისი აღდგენის საქმეში, ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდით ჩვენ სავაჭრო პოლიტიკას და ვერ ვაჩნევდით იმას, რომ გამოცოცხლებულმა კერძო კაპიტალმა თავისი მოქნილობით კედელი აღმართა სახელმწიფოსა და გლეხობის შორის.

წინათ დაისახა რა უშუალოთ დაკავშირებოდა სოფლის მომხმარებელს, სახელმწიფო მრეწველობა დარწმუნდა, რომ მას არ აქვს სათანადოთ მოწყობილი სავაჭრო აპარატების ქსელი. ამავე დროს კოოპერაცია საკმაოდ მომზადებული არ აღმოჩნდა. მრეწველობა განიცდიდა დიდ გაჭირვებას თავის პროდუქციის გასაღების დროს; მივიღეთ ძალიან გაშლილი „მაკრატელი", რომლის პირების დასაახლოვებლად მიღებულია დღეს ყოველგვარი ზომები. ამ მიზნით დაარსებული შინაურ ვაჭრობის კომისია იმუშავებს მთელ რიგ ღონისძიებებს ქალაქის მრეწველობის საქონლის გასატანად სოფელში უმცირესი ზედდართული ხარჯებით. ამავე დროს დაწყებულია სახელმწიფო ორგანოების სავაჭრო აპარატების და კოოპერაციის შესწავლა.

ფასების დაწევა.

პირველ მოთხოვნილების საგნებზე ფასების დაწევა, რომელი საგნებიც ნაწილდება, უმთავრესად კოოპერაციის მიერ, საშუალებას აძლევს გლეხობას შეიძინოს ნავთი, მარილი და მანუფაქტურა ხელმისაწვდომ ფასებში. ამასთან ერთად მიღებულია ზომები სამრეწველო და სხვა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის დამზადების მოსაწესრიგებლად, რომლის ფასები უკანასკნელ ხანებში ძალიან იწევს ზევით. უკანასკნელ მოკლე დროის განმავლობაში „მაკრატლის" პირები ერთმანეთს უახლოვდებიან, რაც გვაძლევს იმედს იმისას, რომ ახლო მომავალში დამყარდება საჭირო წონასწორობა.

ნედლი მასალის დამზადება და საქონლის გასაღება.

რათა ბოლო მოეღოს საქართველოს სამეურნეო ორგანოების დაქსაქსულად გამოსვლას ნედლი მასალის დამზადების და საქონლის გასაღების დარგში, შექმნილია ერთიანი სახელმწიფო სავაჭრო ორგანო—საპაიო ამხანაგობა საქართველოს უმთავრეს სამეურნეო ორგანოებისაგან—„საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო". ამ ღონისძიების დადებითი შედეგები ახლო მომავალში გამოჩნდება ჩვენ შინაურ ვაჭრობაში.

გამაგრდით რა მრეწველობის დარგში, ჩვენ, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, საქარ. ასეთივე ადგილი უნდა დავიჭიროთ ვაჭრობის დარგშიაც.

მრეწველობა შეუჩერებლად მიდის წინ

ჩვენი მრეწველობა განუწყვეტლივ მიდის წინ გაუმჯობესების გზით. მაგრამ მას,—სახალხო მეურნეობის საფუძველს—ესაჭიროება მზრუნველობა და ყურადღებით მოპყრობა. შემდეგი წარმატება დამოკიდებულია მთელ რიგ სისტემატიურ ღონისძიებებზე, მთელ სამრეწველო პოლიტიკაზე.

წარსულში, მრეწველობის აღორძინების დროს, ჩვენ უშვებდით ბევრ შეცდომებს. ეხლა კი გვაქვს საკმაო გამოცდილება და აღარ განვიმეორებთ ძველ შეცდომებს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ შემდეგ წლებში ჩვენ გვექნება არა მარტო დღეს არსებული მრეწველობა, არამედ შემოვიღებთ ახალ დარგებსაც, რომლებსაც ექნება ჩქარი განვითარების ყველა შანსები.

ვ. ბაქრაძე.

ა. ხ. ტროცკის ჯანმრთელობა

ჯანმრთელობა გაუმჯობესდა

მოსკოვი. 23 თებერ. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის საკურორტო კლინიკის დირექტორის ამხ. ალექსანდროვის ხელისმოწერით გამოქვეყნებულია ბიულეტენი ამხ. ტროცკის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

ბიულეტენში აღნიშნულია, რომ ზღვის პირას 3 კვირის განმავლობაში ყოფნის გამო ამხ. ტროცკის ჯანმრთელობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ხანგრძლივი ინფლუენციის ობიექტიური [illegible] გამქრალ ტემპერატურა [illegible] და 37 გრადუსზე ზევით არ იწევს. შემჩნეულია თვალსაჩინო მომატება წონაში, მადა ნორმალურია, ხოლო [illegible] განწყობილება და ძილი დამაკმაყოფილებელი, საერთო სისუსტე კლებულობს, მუშაობის უნარი თანდათან უბრუნდება: ამხ. ტროცკისთვის საჭიროა კლიმატიური მკურნალობა კიდევ რამდენიმე კვირის განმავლობაში.

პროფ[illegible] პროფკავში[illegible]

პრეზიდიუმის სხდომაზე ამხ. [illegible]რულაშვილმა წაიკითხა მოხ[illegible] პროფკავშირთა სატარიფო პ[illegible]ტიკის შესახებ.

ხელფასის დაგვიანება.

მომხსენებელი აღნიშნავს, ხელფასის ჩერვონეცის გამონა[illegible] შებაზე გადასვლამ ცენტრში შე[illegible] ძლიერებელი გახადა ხელფასის თა[illegible] დროზე გადახდა. პროვინციაში [illegible] საც გრძელდება ჯამაგირის დაგვ[illegible] ნება, რასაც ენერგიულად უნდა ებ[illegible] ძოლონ კავშირები.

სახელმწიფო მინიმუმის შემცირ[illegible] პროვინციაში.

არსებობს მტკიცეთ შემუშავებუ[illegible] სახელმწიფო მინიმუმი, რომელ[illegible] არ არის დამაკმაყოფილებელი, [illegible] გან ვერ უზრუნველჰყოფს სა[illegible]ის მოწე[illegible] ბელ მინიმუმს. მიუხედავა[illegible] იყო მთელი რიგი შემთხ[illegible] ცა მოსამსახურეებს შე[illegible]ლულია, [illegible] მუმი. მაგალითად განათლ[illegible]ა [illegible] ზოგ ჯგუფებს. სამაზრ[illegible] სათანადოთ განმტკიცებული [illegible] ემლია.

ოფით
რატი
ჩამო-
კაცი
მისი
ფუნ-
მისი

შრომის სახალხო კო- ქართველოს გასაბჭოე- ი წლის თავზე

შრომის სახალხო კომისარიატის მოღვაწეობაში ერთგვარ გადატეხას ადგილი ჰქონდა შრომის კანონთა კოდექსის ძალაში შესვლის დღიდან, როდესაც მან თავის მუშაობის ფარგლებში შეკავშირა მთლიანად ყველა ის საკითხები, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ მუშა-მოსამსახურეთა შრომის პირობების მოწესრიგებასთან. ამ დღიდან შრომის სახალხო კომისარიატის ყურადღება შრომის უფლებრივ გარანტიის დარგში მიქცეულია იმ საკანონმდებლო სახელმწიფო მინიმუმის მტკიცე გატარებისკენ, რომელიც მოცემულია მშრომელთა ხელისუფლების ამ დიად აქტში.

პროფესიონალურ კავშირებს კი ამავე კოდექსით მინიჭებული აქვთ უფლება მინიმუმის გარანტიის მიხედვით კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების ნიადაგზე—აწარმოონ ბრძოლა შრომის პირობების მაქსიმალურად გაუმჯობესებისათვის, რომელსაც თითოეულ ცალკე მომენტში თან უნდა სდევდეს სახელმწიფოს ეკონომიური მდგომარეობის გათვალისწინება.

შრომის კანონთა კოდექსმა საშუალება მოგვცა—პროფკავშირები სრულებით განთავისუფლებული ყოფილიყვნენ სახელმწიფო ფუნქციებიდან და ამ რიგად მათთან დამყარებული ყოფილიყო ნორმალური ურთი-ერთობა, რომელიც არც ერთხელ არ ყოფილა დარღვეული და დღითი-დღე უმჯობესდება.

შრომის სახალხო კომისარიატმა შეაჯგუფა თავის მოქმედების ფარგლებში შრომის სახელმწიფო მოწესრიგების ფუნქციები, რომელნიც გამოიხატებიან: 1) შრომის ბაზრის მოწესრიგებასა, 2) შრომის დაცვასა, 3) სატარიფო-საკონფლიქტო მუშაობასა, 4) სოციალურ დაზღვევასა და 5) შრომის სტატისტიკაში; ამავე დროს მასთან არავითარ კავშირის მქონე ფუნქციები, როგორც, მაგალითად, შრომის და ტვირთზიდვის ხარკის გატარება და ულარიბეს მცხოვრებთათვის სახელმწიფო დახმარების აღმოჩენის საქმე—გადაეცა სათანადო ორგანოებს,—პირველი მათგანი ფინანსთა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებს, ხოლო მეორე სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს.

შრომის სახალხო კომისარიატის ფუნქციების შეცვლამ გამოიწვია მისი ადგილობრივ ორგანოების გადახედვის აუცილებლობაც. აპარატების გამარტივებისა, შტატების შემცირებისა და სამრეწველო ადგილებში შრომის ორგანოების გაძლიერების საჭიროების გამო, რესპუბლიკის მცირე სამრეწველო ადგილებში შრომის ორგანოები გაუქმდა და შრომის პირობების მოწესრიგების დარგში კომისარიატის რწმუნებულობა დაეკისრა ადგილობრივ დამზღვევ კასების თავმჯდომარეთ, ხოლო შრომის ორგანოები დატოვებულ იქნა აფხაზეთსა, აჭარასა (შრ. ს. კ. რწმუნ. სამმართველოები), ქუთაისსა, ჭიათურასა, ფოთსა და ბორჯომში (შრ. ინს. კამერები).

აგრეთვე აღსანიშნავია ისიც, რომ რესპუბლიკის იმ ადგილებში, სადაც შრომის ბაზარი არავითარ ინტერესის მატარებელს არ წარმოადგენს, აქამდე არსებული შრომის მოწესრიგების მეთოდის მაგიერ შემოღებულ იქნა უკანონო დაქირავების თავიდან ასაცილებლად დაქირავების შემთხვევათა შემდეგი რეგისტრაცია კომისარიატის რწმუნებულებთან.

ამ რიგად შრომის სახალხო კომისარიატის აპარატის საორგანიზაციო მუშაობა უკვე დამთავრებულია და შეთანხმებული რესპუბლიკის ეკონომიურ და პოლიტიკურ პირობებთან.

2. შრომის ბაზრის მოწესრიგება.

1921 და 1922 წ. წ. (პირველი ნახევარი) შრომის სახალხო კომისარიატის მუშაობა თითქმის განისაზღვრებოდა შრომის ბაზრის მოწესრიგებით. ამასთანავე ის აწარმოებდა შრომის მილიტარიზაციის მიზნით მუშა-ხელის მობილიზაციასაც. ერთი სიტყვით, ადგილი ჰქონდა მუშა-ხელის განაწილების დარგში იძულებითი მეთოდს.

ახალ ეკონომიურ პოლიტიკის გატარების მტკიცე კურსზე გადასვლისთანავე—საჭირო შეიქნა შრომის ბაზრის მოწესრიგების დარგში მეთოდის გამოცვლა და შრომის ბირჟის მუშაობის მოწყობა შუამავლობის პრინციპზე, შრომის და წინადადებასა და მოთხოვნილებაზე განსაკუთრებული მონოპოლიზაციის დატოვებით. ახალ მეთოდმა გამოიწვია შრომის ბირჟების აპარატის რეორგანიზაცია, რომელსაც შედეგათ მოჰყვა მისი გაუმჯობესება-გამარტივება და პროფესიონალურ სისტემაზე მოწყობა, ხოლო მას სათავეში მოექცა კომიტეტი პროფესიონალური და სამეურნეო ორგანოების პარიტეტული წარმომადგენლობით. უკანასკნელ ღონისძიებას მიზნად ჰქონდა დასახული შრომის ბირჟების მუშაობისათვის მიეცა საზოგადოებრივი ხასიათი და უზრუნველეყო მხარეთა ინტერესები, როგორც შრომის წინადადების, ისე მოთხოვნილების მოწესრიგების დარგში.

აქვე აუცილებელ საჭიროებას მოითხოვს აღვნიშნოთ ისიც, რომ შრომის ბირჟების მოწყობისა და მოქმედების პრინციპები ძირიან ფესვიანად განსხვავდებოდა მენშევიკურ შრომის ბირჟების მუშაობის პრინციპებისა და მეთოდებისაგან. როგორც ვიცით, მათი შრომის ბირჟები იყო ნეიტრალური-შუამავლობითი და სათავეში ედგა კომიტეტი, რომელშიც მეორე მხარიდან წარმომადგენლებად შედიოდენ მრეწველთა და კერძო კაპიტალის წარმომადგენელნი. ცხადია, ასეთი „ნეიტრალობა" სასარგებლო იყო მათთვის, ხოლო მუშათა ორგანიზაციებმა დაკარგეს ყოველგვარი ნდობა მუნიციპალურ შრომის ბირჟებისადმი და თვით კავშირებთან დაიწყეს დაქირავების ბიუროების დაარსება. ამ რიგად, ასე თუ ისე მათ დაქირავების შუამავლობის მუშაობაში შეჰქონდათ არევ დარევა.

გადავდივართ რა უმუშევრობის დახასიათებაზე, საჭიროა მოვიყვანოთ მოკლე დინამიკა სამი წლის განმავლობაში უმუშევრობის გაზრდის და გადიდების შესახებ.

	1921 წ.		1922 წ.		1923 წ.	
	მოწოდ. შრომაზე	მოთხოვნილება	მოწოდება შრომაზე	მოთხოვნილება	მოწოდება შრომაზე	მოთხოვნილება
მთელ რესპ.	45.886	—	34.664	17192	55587	23905
მარტო ტფ.	24.067	16873	20 623	11470	37871	18672
100 უმუშევ. მოდის თავისუფალი ადგ.	ტფ. 70,1	—	რესპ. 49,63 ტფ. 55,61		რესპ. 44,82 ტფ. 49,3	

მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს უმუშევრობის გადიდებას წლეების მიხედვით აბსოლიუტურ რიცხვებში. 22 წელში უმუშევართა რიცხვის შემცირება აიხსნება შრომის ბირჟის პოლიტიკის გამოცვლით (უარყოფა იძულებითი ჩაწერისა, შეღავათებით, მოსარგებლე უმუშევართა კადრის განსაზღვრა მცირე სამრეწველო რაიონებში შრომის ბირჟების გაუქმება. 23—წელში უმუშევრობის გაზრდა მიეწერება: ა) შტატების შემცირებას და სამეურნეო ორგანოების სამეურნეო ხარჯზე გადაყვანას, რამაც გამოიწვია ჩაბმულ მუშა-მოსამსახურეთა რიცხვის შემცირება, ბ) გლეხობის მიზიდვამ ქალაქებისადმი და სხვა.

ამ რიგად უმუშევრობა ატარებს მტკიცე ხასიათს. 1924 წლის 1-ლ იანვრისათვის რესპუბლიკის ფარგლებში ჩვენ გვაქვს შემდეგი სურათი.

	მომ.	უმუშ.
მთელ რეს. აბსოლ.	87.000	21.878
რიცხვებში პროც.		25,14
ტფილ. აბსოლ.	42,823	13.623
რიც. პროც.		31,81

რაც შეეხება შრომის მოთხოვნილებას, ის უკან რჩება შრომის წინადადებას, ხოლო გამონაკლისს შეადგენს 21 წელი, როდესაც 100 უმუშევარზე მოდიოდა 70 ადგილი, რაც აიხსნება ახალი ორგანოების მოწყობით საქართველოს გასაბჭოების გამო. 22—წელში რესპუბლიკის ფარგლებში 100—უმუშ. მოდის—49,6, ტფილისში კი 55,61; 23 წელში 100 უმუშ. მოდის 44,82, ხოლო ტფილისში 49,0 (მოთხოვნილების შემცირება). ეს ერთი მთავარი მიზეზია უმუშევრობის სიმტკიცისა. ასეთ მდგომარეობაში ძნელია სათანადო ზომების მიღება.

უკანასკნელ ხანებში შრომის ბირჟები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ უმუშევართა იმ კატეგორიის გაწვრთნა-მომზადებას, რომელთა შორის განსაკუთრებით დიდხანს გრძელდება უმუშევრობა.

ზემოხსენებულ მდგომარეობამ გამოიწვია ისეთ საშუალებათა გამონახვა, რომლებიც მიმართული არიან უმუშევრობისა და მათი მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ. ამ მიზნით გ. წ. თებერვლიდან მოგვარებული იქნა უმუშევართა დაზღვევის საკითხი, ამავე წელსვე გაიხსნა უფასო სასადილოები, მოეწყო საწარმოო და შრომის კოლექტივები და სხ.

შევჩერდეთ დაზღვევაზე. დაზღვევის უფლებით სარგებლობს უმუშევართა განსაზღვრული წრე, რომელსაც უფლება აქვს სახელმწიფო უზრუნველყოფისა, მათგან დამოუკიდებელ მიზეზებით სამუშაოს დაკარგვის გამო. უმუშევართა დაზღვევის სურათს გვიჩვენებს შემდეგი:

	უმუშევრები.	მათ შორის დაზღვ.	პროც.-ებში.
მთელ რესპუბლიკაში	21.878	4.473	20,44
ტფილისში	13.623	2.549	18,71

პროცენტული შეფარდება უმუშე- [illegible] თხოვს დაზღვევ უმუშევართა წრის გადიდებას, რაზედაც მიღებულია ზომები.

უმუშევართა დაზღვევის გარდა, უფრო ცუდ მდგომარეობაში მყოფ უმუშევართათვის გახსნილი იქნა სასადილოები გ. წელს ტფილისსა და ბათომში, სადაც მოსადილეთა რიცხვი დღიურად უდრიდა—1000 კაცამდე.

1924 წლის 1-ლ იანვრისათვის მოწყობილი შრომისა და საწარმოო კოლექტივების რიცხვი უდრის 18-ს, რომელშიც ჩაბმულია 2.253 კ. კოლექტივებში 6 წარმოადგენს მსხვილს, სადაც ამ ჟამად ირიცხება 1960, დანარჩენები-კი წვრილია.

გარდა ამისა თავის მუდმივ ადგილას გამგზავრებულ უმუშევართათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით გ. წ—ს მარტიდან შემოღებული იქნა სამგზავრო შეღავათიანი (50 პროც.) ბილეთები. 24 წლის 1-ლ იანვრისათვის შეღავათიანი ბილეთებით გადაგზავნილთა რიცხვი უდრის—1388 კ. და სხ.

დასასრულს საჭიროთ ვრაცხ აღვნიშნო ის მდგომარეობა, რომ უმუშევრობასთან ბრძოლისათვის ჯერ კიდევ არ არის ყველა ზომები გატარებული და ერთ უახლოეს ამოცანას შეადგენს უმუშევრობასთან ბრძოლის მთელი რიგი ზომების დამუშავება, იმ პირობით, რომ ამ სამუშაოში ღრმად ჩაბმული იქნას სამეურნეო ორგანოები საზოგადოებრივ სამუშაოების და არაკარ-ჩაკეტილი შრომის და საწარმოო კოლექტივების მოწყობისათვის. ყველა ამის შესახებ სწარმოებს სათანადო მუშაობა.

3. შრომის დაცვა.

მსოფლიოში ყველაზე უფრო „დემოკრატიული"—საქართველოს მენშევიკური მთავრობა გაკიცხული უნდა იქნეს პროლეტარიატის წინაშე, თუ გინდ იმისათვის, რომ მას არაფერი გაუკეთებია მუშათა კანონდებულების დარგში. მას აინუშშიაც არ მოსვლია მუშა-მოსამსახურეთათვის შემოეღო შრომის დაცვის კანონდებულება და, ცხადია, არც სპეციალური ორგანოები ჰქონდა მოწყობილი შრომის დაცვის ცხოვრებაში გასატარებლად, თუგინდ იმ დამახინჯებულ შრომის კანონებას (შრომის ხელშეკრულება), რომელიც გამოქვეყნებული იყო მათ მიერ ხელისუფლების დატოვების წინ.

შრომის დაცვის დარგში შრომის სახალხო კომისარიატს მუშაობის დაწყება მოუხდა ახლად.

საჭიროა რამოდენიმე სიტყვით შევჩერდეთ იმ ძირითად ფუნქციებზე, რომელიც დავალებული აქვს ახალ ორგანოს, უკეთ რომ ვსთქვათ, გავითვალისწინოთ ყველა ის მონაპოვარი, [illegible] მშრომელთ.

შრომის დაცვის განყოფილების ფუნქცია (შრომის ინსპექცია, ტეხნიკური ინსპექცია, სანიტარული ინსპექცია) კონკრეტიულად შეიცავს ზედამხედველობის გატარებას, რათა გამონაკლისად დაქირავებით სხვისი შრომის გამომყენებელმა ყველა წარმოება-დაწესებულებამ და პირმა შეასრულოს შრომის კანონთა კოდექსის ყველა დადგენილებანი, დეკრეტები, ინსტრუქციები, განკარგულებანი და საბჭოთა ხელისუფლების ყველა აქტები, რომლებიც მიმართულია მშრომელთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვისაკენ.

აღნიშნულ ზედამხედველობის გასატარებლად ინსპექციის ყველა სახეთა მიერ სამი წლის განმავლობაში მოხდენილია წარმოებათა, დაწესებულებათა და მეურნეობათა 9530 დათვალიერება, რომლიდან 21 წელს 2405 დათვალიერება, 22 წელს—2881 და 23 წელს—4244.

წარმოება-დაწესებულებათა პირველ დათვალიერებამ გადაშალა მეტად მძიმე და შემაძრწუნებელი სურათი, მანქანების საშიშ ნაწილებიდან შემომფარგველ საშუალებათა უქონლობა, წარმოებათა მეტად ანტისანიტარული მდგომარეობა (ვენტილიაციის, მტვრის გამწმენდი ხელსაწყოების უქონლობა, ჭერის, იატაკის სიბინძურე და სხვ.), შრომის სამუშაო დროის, დასვენების და შვებულების მომწესრიგებელ ნორმების უქონლობა ხომ ჩვეულებრივ მოვლენად იყო გადაქცეული.

დათვალიერებით გამოირკვა უფლებრივ, სანიტარულ და ტეხნიკურ ხასიათის დარღვევანი: პირველ წელს (21) ცხადია ყველგან. 21 წლის დასასრულს დარღვევის ერთი ნაწილი მოსპობილი იქნა. 22—23 წელს დარღვევათა რიცხვი თანდათანობით შემცირდა და ამ ჟამად წმინდა უფლებრივ დარგში ადგილი აქვს მეტად მინიმალურ რიცხვებს. ტეხნიკური და სანიტარული ხასიათის დარღვევების გარშემო უნდა აღინიშნოს, რომ რამდენადაც ასეთების მოსპობა დამოკიდებულია წარმოების და დაწესებ. მატერიალურ საშუალებაზე, იმდენად ინსპექციას ზოგიერთ შემთხვევებში უძლებოდა უკან დახევა ფართოთ მოთხოვნილებიდან. ყველა ამის გამო წარმოებათა სანიტარულ-ჰიგიენურ და ტეხნიკურ უსაფრთხოების პირობები მცირედათ წაიწია წინ.

ინსპექციის მოღვაწეობაში ერთ მნიშვნელოვან მომენტად უნდა ჩაითვალოს საქ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება № 67-ის ცხოვრებაში გატარება წარმოებებში მოზარდთა სავალდებულო რიცხვის შენარჩუნების შესახებ, კვალიფიკაციურ მუშა-ხელის აღდგენის მიზნით. უკანასკნელი საქართველოს ფარგლებში გატარებულია 100-პროცენტზე მეტად.

21 და კერძოთ 22 წელში შრომის კანონდებულებათა დამრღვევ ურჩ დამქირავებელთა წინააღმდეგ მიღებული ზომები ატარებდა ადმინისტრატიულ ხასიათს და მხოლოდ უკანასკნელ დროს მოეწყო პირველად სახალხო სასამართლოების დროებითი სესიები, ხოლო 23 წლის მეორე ნახევრიდან შემოიღეს შრომის სასამართლოები.

დანაშაულობისდამიხედვით მრავალრიცხოვან სასამართლოს პროცესებში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ფიქტიური კომპანიური ხელშეკრულებანი. ეს მაჩვენებელია ექსპლოატატორთა უკიდურეს წინააღმდეგობისა შრომის კანონების მიმართ.

ამჟამად აღმოჩენილ ფიქტიურ ხელშეკრულებათა რიცხვი—მათი ჭეშმარიტ მიზნების გაგებისა და დევნის შემდეგ,—თითქმის უმნიშვნელოა და უნდა ვიფიქროთ, ამ მოკლე ხანში მათ სრულიად არ ექნებათ ადგილი.

ამ დარგში მიღწეულ შედეგების მთლიანი სურათის წარმოდგენა შეუძლებელია ამ მცირე წერილიდან, ხოლო ყველასათვის ერთი უდავოა, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის სამი წლის განმავლობაში მშრომელთა შრომის პირობები უფლებრივი, სანიტარულ-ჰიგიენური და ტეხნიკური თვალსაზრისით მეტად თვალსაჩინოთ გაუმჯობესდა. ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ამ დარგში მუშაობის მომავალი შედეგები შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუკი ზედამხედველობა გადაუხვევლად გაღრმავდება და მოხმარებული იქნება ენერგიის მაქსიმუმი. ჩვენ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ საზღვარ-გარეთულ კაპიტალის შემოსვლა, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუწყია მოქმედება, მოითხოვს ჩვენგან მნიშვნელოვან ბრძოლის გაწევას „ბატონ კაპიტალის" და ისიც საზღვარ გარეთელის მხეცურ მადის მიმართ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მშრომელთა დაცვის ორგანოები შეიგნებენ იმ პასუხისმგებლობას, რომელსაც მათ აკისრებს შრომის კანონდებულება და იოტის ოდნავ არ გადაუხვევენ აღებულ ხაზს და ბურჟუაზიულ კაპიტალის გარშემორტყმულ პერიოდში პირნათლად შეასრულებენ დაკისრებულ ამოცანას.

4. სატარიფო-საკონფლიქტო მუშაობა.

სატარიფო მუშაობა შრომის სახალხო კომისარიატისათვის ახალი საქმეა.

შრომის ხელფასის მოწესრიგებისა და ამ დარგში მიღწეულ შედეგების აღრიცხვაში დიდხანს მუშაობდა საქ. პროფკავშირთა საბჭოს სატარიფო განყოფილება.

შრომის სახ. კომისარიატის ფუნქციები ამ მუშაობაში გამოიხატებოდა საქ. პროფკავშირთა საბჭოს დადგენილების მექანიკურ დადასტურებასა და თითქმის გამოსაქვეყნებელ შრომის ხელფასის—სახელმწიფო მინიმუმის ასეთივე ხელის მოწერაში.

ძალიან ნელი ნაბიჯით გადმოდიოდა ჩვენთან აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულების სახელმწიფო გეგმის მიხედვით დასაწესებელი მუშაობაც.

ჩვენთან რეგისტრაციაში ტარდებოდა კოლექტიური ხელშეკრულებანი და ამ შემთხვევაში იურიდიული ძალა ენიჭებოდათ მათ, რომლებიც არ ეწინააღმდეგებოდენ შრომის კანონთა კოდექსით დაწესებულ პირობებს.

შრომის სახ. კომისარიატი უმთავრესად ეწეოდა საკონფლიქტო მუშაობას. შრომის დავების (სამოქალაქო) იძულებითი წესით გადამწყვეტი საკონფლიქტო კომისიები გაცხოველებულ მუშაობას ეწეოდენ უმთავრესად მუშა-მოსამსახურეთა ინტერესების დასაცავათ. საკონფლიქტო კომისიებმა დიდი გამოცდილება მისცეს მათ—ნაცვლად იუსტიციის სახ. კომისარიატთან მოწყობილი შრომის სასამართლოების კამერების, მშრომელთა ინტერესებთან დაკავშირებულ საკითხების გასარჩევად კლასობრივ თვალსაზრისით მიდგომაში.

მათი მუშაობის შედეგებმა იძულებული გვყო მოგვეწყო მორიგებითი და საარბიტრაჟო წესით გადამწყვეტი ორგანოები იმ საკითხებისათვის, რომლებიც გამომდინარეობდენ— კოლექტიურ ხელშეკრულებათა გადასინჯვის აზრდააკვნილობის, დამატებების დ ცვლილებების შეტანიდან.

ამ მუშაობაში შრომის სახ. კომისარიატმა შესცვალა თავისი ხაზი, რომელიც შიიმართებოდა მხოლოდ და მხოლოდ მუშა-მოსამსახურეთა ინტერესების დასაცავათ და აიღო მხარეთა (როგორც წარმოების, ისე მშრომელთა) ინტერესების შესარიგებელი მეთოდი, რაც ეყრდნობოდა შრომის კანონთა კოდექსს და კოლექტიურ ხელშეკრულებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა მედიცინა საქართველოში 3 წლის განმავლობაში და მისი უახლოესი ამოცანები

საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში შეიტანა ძირითადი ცვლილება ჯანმრთელობის საქმეში. რა მემკვიდრეობა დარჩა საბჭოთა ხელისუფლებას და რას წარმოადგენდა მედიკოსანიტარული საქმე მანამდის?

ის მოკლებული იყო ყოველივე სისტემას და განაწილებული იყო უწყებათა შორის. (შინაგან საქმეთა სამინისტრო, სამხედრო უწყება, რკინის გზის სამმართველო, ერობათა და ქალაქთა კავშირი და სხვა). უმთავრესი ადგილი ეკავა საერთო საექიმო დახმარებას, სპეციალური დახმარებას (კბილის, თვალის, სამეანო-გინეკოლოგიური, ფსიქიატრიული მკურნალობა და სხვა) კი ჰქონდა შემთხვევითი ხასიათი.

არ იყო მიქცეული საჭირო ყურადღება საექიმო დახმარების კვალიფიკაციაზე. სანიტარო-გამაჯანსაღებელ ზომებს შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა, და არავინ ზრუნავდა მასების სანიტარული განათლებაზე და მათი მონაწილეობაზე ჯანმრთელობის დაცვის საქმეში.

სრულიად არ იყვნენ უზრუნველყოფილნი საექიმო დახმარებით მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც იხდიდენ ჯამაგირის 2 პროც. საავადმყოფო კასების სასარგებლოთ. დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სახელმწიფო დაცვაზე ხსენებაც არ ყოფილა. კურორტებით სარგებლობდა მხოლოდ შეძლებული კლასი. საბჭოთა ხელისუფლების წინაშე იდგა მძიმე და პასუხსაგები ამოცანა,—სამედიცინო-სანიტარო საქმის მოწყობა მშრომელთა საჭიროების დაკმაყოფილებლათ.

სამი წლის მუშაობის შედეგია ამ დარგში მრავალი მიღწევანი. მიუხედავათ იმისა, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკაზე გადასვლამ და 1922 წ. ადგილობრივი სამკურნალო დაწესებულებების გადაყვანამ ადგილობრივ ხარჯზე იძულებული გაგვხადა ნაწილობრივათ ხელი აგვეღო უსასყიდლობის პრინციპზე, შეფერხდა სამკურნალო ქსელის გაფართოვება და მისი გაუმჯობესება, რამოდენიმე პუნქტი და სოფლის საავადმყოფო პირველ ხანში დაიხურა საშუალების, მედიკამენტების და მოწყობილობის უქონლობის გამო, აუტანელ პირობებში ჩავარდა სამედიცინო პერსონალი, რომელიც რამოდენიმე თვის განმავლობაში არ ღებულობდა ჯამაგირს და სხვა.

მიუხედავათ ამისა, საბჭოთა მედიცინამ საქართველოში შეინარჩუნა უმთავრესი პრინციპები. იგი მთლიანად არსებობს ერთი ორგანოს—ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში. აქედან გამომდინარეობს საქმისათვის საჭირო მთლიანი გეგმა და ხელმძღვანელობა.

საგრძნობლათ გაფართოებული იქნა სასოფლო-სამკურნალო ქსელი, გამრავლებულია სასოფლო საექიმო პუნქტები და საავადმყოფოები. მრავალი საფერშლო პუნქტის ნაცვლად დაარსდა საექიმო პუნქტები. ქვემოთ მოყვანილი ცნობები ახურათებს ჩვენი მუშაობის შედეგებს ამ დარგში.

	საბჭოთა ხელისუფლებამდე	ამჟამად
სასოფლო საავადმყოფო და საექიმო პუნქტი . .	94	126
საფერშლო პუნქტი	71	65

ქალაქის საავადმყოფოებში მომატებულია საწოლების რიცხვი, მოწყობილია სამშობიარო განყოფილებები, გაფართოებულია ამბულატორიები, რომელშიც მოწვეულია სხვადასხვა დარგის სპეციალისტი ექიმები, მოწესრიგებულია რაიონული საექიმო დახმარება ბინაზე და სხვა.

ტფილისში გახსნილია ერთად ერთი ამიერ-კავკასიაში ფიზიო-თერაპევტიული ინსტიტუტი ახალის ტალახით და ელექტრონით მკურნალობით, გაფართოებულია ფსიქიატრიული საავადმყოფო, გაუმჯობესებულია ერთად ერთი მთელ ამ. | კავკასიაში თვალის საავადმყოფო და სხვა.

აღსანიშნავია განსაკუთრებით დიდი მიღწევანი დაზღვეული მუშა-მოსამსახურეებისათვის სამედიცინო დახმარების საქმეში. დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეებს რიგს გარეშე ეთმობათ საწოლები საბჭოთა საავადმყოფოებში. მათი საჭიროებისათვის მოწვეულია საუკეთესო სპეციალისტები და გარდა რაიონული ამბულატორიებისა მსხვილი წარმოებასთან დაარსებულია განსაკუთრებული ამბულატორიები მუშებისათვის. ფართოთ მოწყობილია საექიმო დახმარება ბინაზე. პროვინციაში ეს საქმე შედარებით მოისუსტებს, მაგრამ უკანასკნელ ხანებში იქაც მიღწეულია საგრძნობი გაუმჯობესება. ფართოდ დაყენებული იქნა რესპუბლიკაში კბილის მკურნალობა: გახსნილი იყო კბილის 107 სამკურნალო კაბინეტი უსასყიდლოთ ფართო მასებისათვის. საქართველოს გლეხობა პირველად გაეცნო კბილის მკურნალობას. სამწუხაროდ ახალი ეკონომიური პოლიტიკის შედეგებმა შეზღუდა დაწყებული მუშაობა და ჩვენ შევინარჩუნეთ მხოლოდ კბილის 44 კაბინეტი უსასყიდლო დახმარებისათვის მხოლოდ დაზღვეულებისათვის. სულ საქართველოში იყო:

	საბჭოთა ხელისუფლებამდე	ამჟამად
საავადმყოფო	37	56
საწოლები მათში	1131	1526

საბჭოთა მედიცინის აღმშენებლობის მეორე უმთავრეს ამოცანას შეადგენდა სანიტარო-საეპიდემიოლოგიო დარგი. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ წამოაყენა პირველ რიგში ავადმყოფობის გაფრთხილების პრინციპი, და მცხოვრებლების საერთო გაჯანსაღება შრომის და ცხოვრების საერთო პირობების გაუმჯობესებით. 1924 წლამდის ჩვენი ძალები უმთავრესად მიმართული იყო ეპიდემიებთან ბრძოლისათვის; პირველად საქართველოში შემოღებული იყო მასიური მეთოდებით მუშაობა: მასების უშუალოდ ჩაბმა ბრძოლაში საგანგებო სანიტარული სამეულების დაარსებით ქალაქებში, წარმოებებში და სოფლებში, პოპულიარული ლექციების კითხვა, სანიტარული ლიტერატურის გავრცელება და სხვა. მხოლოდ ამ ზომების საშუალებით, როდესაც თვით მასებმა მიიღეს აქტიური მონაწილეობა ეპიდემიებთან ბრძოლაში, შესაძლებელი იყო ხოლერის, ტიფის და სხვა ეპიდემიების სწრაფი შეწყვეტა მცირე მსხვერპლის გაღებით. ჩამორჩენილ და უსაღსრო ადგილებში ეპიდემიებთან საბრძოლველად ჯანსახკომისარიატის მიერ იგზავნებოდა სპეციალური საეპიდემიო რაზმები. დიდი შრომის შემდეგ ჩვენ შევქმენით ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტი და გავაფართოვეთ მისი მუშაობა, რომელიც აწვდის უფასოდ ვაქცინებს და შრატებს მთელ საქართველოს, წითელ არმიას და მეზობელ რესპუბლიკებს. ეს საშუალებები წინეთ შემოგვქონდა საზღვარგარეთიდან.

ჩვენი ინიციატივით და ხარჯებით გაშენებულია და მოწყობილია აბანოები ლიუქსემბურგში და ცხინვალში, და მოკლე ხანში დამთავრებული იქნება ასეთივე საქართველოს 4 სხვა ადგილში

1923 წ. ეპიდემიების შესუსტების შემდეგ ყურადღების ცენტრი გადატანილი იქნა სანიტარო საგანმანათლებლო მუშაობისაკენ და სოციალური ავადმყოფობასთან ბრძოლაზე (ტუბერკულიოზი, ვენერიული ავადმყოფობანი და მალარია). ტფილისში ჩვენ გავხსენით სანიტარო განათლების სახლი. განზრახულია ასეთივე სახლების დაარსება მაზრებში, სადაც გლეხობა მიიღებს საჭირო ცნობებს თავისი ცხოვრების გასაჯანსაღებლად და ავადმყოფობის თავიდან ასაცდენად. უკვე მოქმედებენ სანიტარო განათლების ოთახები ლიუქსემბურგში, ახალქალაქში და ახალციხეში.

მალარიასთან საბრძოლველად ტფილისში დაარსებულია ცენტრალური სამალარიო სადგური მალარიის მეცნიერულად შესასწავლად და პერსონალის მოსამზადებლად. ზაფხულობით მალარიან ადგილებში იგზავნება ექსპედიციები, რომლების დანიშნულებას შეადგენს მალარიასთან ბრძოლის მეცნიერულად შესწავლა და მოსახლეობისათვის სამკურნალო დახმარების აღმოჩენა. ამ ექსპედიციებმა დიდი სახელი დაიმსახურეს გლეხობაში, რომელიც სინამდვილში რწმუნდება საბჭოთა ხელისუფლების მზრუნველობაში მათი საჭიროებაზე.

ის, რაც წინეთ შეადგენდა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში საქველმოქმედო საზოგადოებების მზრუნველობის საგანს, სახელდობრ: მოზარდი თაობის ჯანმრთელობა და მათი ფიზიკური კულტურის განვითარება საბჭოთა ხელისუფლებამ აღიარა სახელმწიფო საქმეთ. იგივე ითქმის მცირეწლოვანთა ჯანმრთელობაზე, რომლებიც ეწევიან ფიზიკურ შრომას, თუმც შედარებით ცოტა დაწესებულება დაარსდა, მაგრამ დიდი მუშაობაა ჩატარებული ამ დარგში.

მთელი რიგი სააგიტაციო კამპანიების საშუალებით ამ საკითხებისაკენ მიპყრობილი იქნა მშრომელთა ყურადღება და გაღვიძებულია ადგილობრივი ინიციატივა.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ გადადგა ნაბიჯები მუშათა კლასის ჯანმრთელობის აღსადგენათ. მხოლოდ 1921 წ. მშრომელთა ხელმისაწვდომათ შეიქნა კურორტები, რომლებით ასე მდიდარია საქართველო. სამი წლის განმავლობაში ჩვენი კურორტების სანატორიუმებში უფასოდ მოთავსებული იყო 2500 ავადმყოფი მუშა-მოსამსახური, გარდა იმისა, რაც გაიგზავნა პროფკავშირების მიერ დასვენებულ სახლებში ჩაყრილია მაგარი საძირკველი კურორტების აღმშენებლობის და აღდგენის საქმეში, რომლებიც თითქმის სრულიად განადგურებული იყო იმპერიალისტური ომის გამო (აბასთუმანი).

ასეთია მოკლედ მშრომელთა მიღწევანი ჯანმრთელობის დაცვის დარგში. ამასთანავე საჭიროთ მიგვჩნია აღვნიშნოთ მორიგი ამოცანები, რომლებიც დასახული აქვს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებას თავის არსებობის მე 4 წლისათვის.

საერთოდ უმთავრესი მიზნები იგივე—რაც შეიძლება უკეთ უზრუნველყოფა მშრომელთა მასების სამედიცინო დახმარებით, მისი გაუმჯობესება, საყოველთაოდ მისაწვდომობა და იმ ნაკლის თავიდან აშორება, რომელიც მას ემჩნევა და რასაც ჩვენც ვაღიარებდით:

1. ძირითადი ამოცანები სამკურნალო დარგში არსებული სასოფლო-სამკურნალო ქსელის შენარჩუნება, მათი გაუმჯობესება და საფინანსო-მატერიალური საფუძვლის გამაგრება, სამკურნალო ქსელის გაფართოვება (სასოფლო საავადმყოფოების და საექიმო პუნქტების გამრავლება, მშობიარეთა უზრუნველყოფა სამეანო დახმარებით), საფერშლო პუნქტებს სრული ლიკვიდაცია და მათი შეცვლა საექიმო პუნქტებით, მედპერსონალის უზრუნველყოფა საკმაო ჯამაგირით და სხვა. ყველა ამისათვის საჭიროა აღმასკომების მიერ მეტი საშუალების გაღება ჯანმრთელობის საქმეზე და სასოფლო საავადმყოფოების და საექიმო პუნქტების მოწყობა ინვენტარით სახელმწიფოს დახმარებით. სასოფლო მედიცინა უმთავრესი პუნქტია ჯანმრთელობის ფრონტზე, რომელზეც მიპყრობილი იქნება მთელი ჩვენი ძალღონე და საშუალებანი.

2. კბილის მკურნალობის დარგში—პირველ ხანებში უფასო კბილის მკურნალობით უზრუნველყოფა დაზღვეულების და სასკოლო ჰასაკის ბავშვებისა (საქართველოში ბავშვების 90 პროც. შეპყრობილია კბილების კარიესით).

3. დაზღვეულთა სამედიცინო დახმარების დარგში—ამ საქმის გაუმჯობესება პროვინციაში, სადაც ემჩნევა დეფექტები.

4. სასანიტარო-საეპიდემიოლოგიო დარგში—სასანიტარო კანონმდებლობის გატარება და განმტკიცება, მოწყობა სასანიტარო გამაფრთხილებელი დაწესებულებებისა: აბანოების, სადეზინფექციო კამერების, ლაბორატორიების და სხვა, სოციალური ავადმყოფობებთან ბრძოლის ორგანიზაცია: ტუბერკულიოზის და ვენერიული ავადმყოფობის საწინააღმდეგო თითო დისპანსერის დაარსება ტფილისში. დისპანსერების საშუალებით შესაძლებელი იქნება ამ საერთო უბედურებასთან ბრძოლა. იმავე მიზნით მოწყობა მოძრავი გამოფენა მუზეუმებისა, ლექციების წაკითხვით, დიაგრამების ჩვენებით და სხვა. სამალარიო სადგურების დაარსება მაზრებში, მოსახლეობის ფართო ქინინიზაცია და ჭაობების ამოშრობა მუშაობის მოწყობა, რომლის გეგმა უკვე მუშავდება ცენტრში და ადგილებზე, სასანიტარო განათლების სახლების და ოთახების მოწყობა ყველა სამაზრო ქალაქში და დიდ სოფლებში, მშრომელთა სანიტარული უწყვეტლობის მოსასპობად და მათი ჩასაბმელად მათი შრომის და ცხოვრების პირობების გაუმჯობესების საქმეში.

5. დედათა და ბავშვთა დაცვის დარგში ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის დასაცავად ზომების მიღება და ყველა მაზრაში ჯერ-ჯერობით თითო კონსულტაციის მოწყობა, სადაც დედები მიიღებენ საჭირო დახმარებას და დარიგებას.

6. საკურორტო საქმეში ამ დარგის სრული მოწესრიგება და კურორტების აღსადგენათ მუშაობის გაძლიერება, ადგილების გასაფართოებლად მუშა-მოსამსახურეების ჯანმრთელობის აღსადგენათ.

მართალია ჩვენს წინაშე სდგას რთული და საპასუხისმგებლო ამოცანები, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება სძლევს ყოველივე სიძნელეს. ამას ამტკიცებს ის მიღწევანი ჯანმრთელობის დაცვის დარგში, რომელიც განხორციელებულია მიუხედავათ სამოქალაქო ომებისა, ინტერვენციისა და შიმშილობისა, რაც ბურჟუაზიული სახელმწიფოებში იწვევს გახრწნილებას და პატივისცემასაც. ყოველივე ეს თავდებია, რომ მუშათა და გლეხთა ხელისუფლება მშვიდობიან პირობებში სავსებით გატარებს დასახულ მიზნებს ჯანმრთელობის დარგში, რასაც უმთავრესი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობის აღორძინებისათვის.

გრ. კუჭაიძე.

რადიო-ტელეგრაფი

(„ზაკროსტა“-ს ცნობები)

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

იაპონია

მიწისძვრისაგან დაზარალებულთათვის დახმარების მიცემის შეწყვეტის მიზეზი.

მოსკოვი. 23 თებერ. ოფიციალურ ცნობაში საბჭ. კავშ. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი აღნიშნავს, რომ მიწისძვრისაგან დაზარალებულ მოქალაქეთათვის დახმარების გაწევის შეწყვეტა დროებითია და გამოწვეულია იმით, რომ იაპონიის მთავრობა ხელს უშლის ამ დახმარების გაწევას. დახმარების გაწევა შეწყვეტილი იქნება იმ დრომდი, სანამ იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის არ დამყარდება ისეთი დამოკიდებულება, რომელიც საშუალებას მისცემს საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს უშუალოდ დაეხმარონ მიწისძვრისაგან დაზარალებულ ხელმოკლე მოქალაქეებს.

ესპანეთი

პირველი მერცხალი.

ლენინგრადი. 23 თებერ. სიევეროდვინსკის სახელმწიფო ვაჭრობის ჩრდილო-დასავლეთის სატყეო კანტორამ მიჰყიდა ესპანეთს დიდძალი ხე-ტყის მასალა.

ამერიკა

სინკლერი საბჭოთა ნავთის შესახებ.

ნიუ-იორკი. 21 თებ. სინკლერმა (ამერიკის ნავთის მრეწველი) განაცხადა, რომ ევროპის ბაზარზე ხალდება დიდძალი საბჭოთა ნავთი. სინკლერის სიტყვით, საბჭოთა ნავთის მრეწველობა საგრძნობლად გაუმჯობესდა.

ჩინეთი

პროტესტი თეთრგვარდიელების წინააღმდეგ.

პეკინი. 21 თებ. საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ჩინეთში ამხ. კარახანმა საპროტესტო ნოტა გაუგზავნა ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრს თეთრგვარდიელ-ბანდიტების მოღვაწეობის გამო, რომლებსაც მფარველობას უწევს ჩინეთის ადმინისტრაცია.

იცვლიან პოზიციას.

პეკინი. 21 თებ. ჩინეთის გაზეთი „შუნ-ბაო“ იუწყება, რომ საგარეო საქმეთა მინისტრმა მიიღო პარიზიდან დეპეშა ჩინეთის ელჩის საუბრის შესახებ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან. ჩინეთის ელჩი იუწყება, რომ საფრანგეთმა შეიცვალა თავისი პოზიცია საბჭოთა კავშირის მიმართ და გადაწყვეტილი აქვს მოკლე ხანში იცნოს საბჭოთა მთავრობა.

ჩინეთის პარლამენტის დეპუტატების ერთმა ჯგუფმა, რიცხვით 20, შეიტანა პარლამენტში წინადადება საბჭოთა კავშირის დაუყოვნებლივ ცნობის შესახებ.

რა ხდება გერმანიაში

რეპრესიები რევოლიუციონურ პარტიების წინააღმდეგ.

ბერლინი. 21 თებერვალი. გერმანიის მთავრობის სხდომაზე განხილული იქნა საკითხი რეპრესიების მიღების შესახებ იმ პარტიების წინააღმდეგ, „რომლებიც ცდილობენ არსებული წესწყობილების დამხობას“. მთავრობის დადგენილებით, განსაკუთრებული წესების მოხსნის შემდეგ, შემოღებული იქნება სამოქმედოდ კანონი არალეგალური პარტიების აკრძალვის შესახებ.

განზრახულია აღმასრულებელი ხელისუფლების გადაცემა ცალკე სახელმწიფოების სამოქალაქო კომისარებისათვის ან და დროებით სამხედრო სარდლობისათვის.

სხვადასხვა

ბულგარეთი

გლეხთა დემონსტრაცია.

ვენა. 22 თებერ. ბულგარეთის ხალხური სასამართლომ 44 გლეხს მიუსაჯა ციხეში დატყვევება 1—15 წლამდე ცანკოვის გადატრიალებისათვის წინააღმდეგობის გაწევის გამო. სასამართლოს შენობაში შეკრებილმა გლეხებმა გამართეს საპროტესტო დემონსტრაცია განაჩენის წინააღმდეგ.

შეტაკება ანარქისტებთან

რომი. 22 თებერვალი. სოფიიდან მიღებულ ცნობების თანახმად, პოლიციამ ალყა შემოარტყა შენობას, რომელშიაც იმალებოდენ ანარქისტები და წინადადება მისცა მათ დაეყარათ იარაღი. ანარქისტებმა უპასუხეს სროლით, რომლის დროსაც მოკლულია ორი და დაჭრილი 6 ჟანდარმი.

სახლს, რომელშიაც იმალებოდენ ანარქისტები ცეცხლი წაუკიდეს. გაჩხრეკის დროს აღმოაჩინეს 3 დამწვარი გვამი. დატუსაღებულია მრავალი.

ინგლისი

გაფიცვის გამო.

რომი. 22 თებ. ლონდონიდან მიღებული ცნობების თანახმად, გრძელდება ნავთსადგურების მუშების გაფიცვა, რაც სერიოზულათ აფერხებს სურსათის შეტანას მსხვილ სამრეწველო ცენტრებში.

ვენიზელოსი—შინაგან საქმეთა მინისტრი.

რომი. 22 თებერვალი. ათენის გაზეთების ცნობებით, ვენიზელოსის ჯანმრთელობა საბოლოოდ გაუმჯობესდა. ვენიზელოსი მიიღებს შინაგან საქმეთა მინისტრის პორტფელს.

ავსტრიაში.

ბანკების მოსამსახურეების საყოველთაო გაფიცვა.

ვენა. 22 თებერვალი. ავსტრიის ბანკების კავშირმა ლოკაუტი გამოუცხადა გაფიცულ მოსამსახურეებს.

საპასუხოდ ბანკების მოსამსახურეების ნაციონალურმა კავშირმა გამოაცხადა საყოველთაო გაფიცვა, რომელსაც მიემხრნენ სახელმწიფო ბანკის მოსამსახურეები. გაფიცულია დაახლოვებით 30,000 კაცი.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი.

ქალთა დღისათვის.

მოსკოვი. 23 თებერვალი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა ქალთა დღის პირობით განთავისუფლოს ციხეებიდან ის გლეხი მუშა-ქალები, რომლებსაც გაუთავდათ დაპატიმრების ნახევარი ვადა და არ წარმოადგენენ საშიშროებას საზოგადოებისათვის.

ამინდი უკრაინაში.

ხარკოვი. 23 თებერვალი. ქარბუქი უკრაინაში შეწყდა. რკინის გზით მიმოსვლა განახლდა.

ლენინის ნაწერების გამოცემის გეგმა.

მოსკოვი. 23 თებერვალი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა აირჩია განსაკუთრებული კომისია ამხ. კამენევის თავმჯდომარეობით, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ლენინის ნაწერების საკავშირო რესპუბლიკების ენებზე გამოცემის გეგმა.

ტყეების გადაცემა გლეხებისათვის.

მოსკოვი. 22 თებერვალი. 13 მილიონ დესეტინა ტყეებიდან, რომლებიც უნდა გადაეცეს საბჭოთა რუსეთის გლეხებს, 5,735,000 დესეტინა მიმდინარე წელს გადაეცემა.

საქონლის გაცვლა-გამოცვლა ასანთის სინდიკატსა და სპარსეთის ფირმის შორის.

მოსკოვი. 22 თებერვალი. ლენინგრადის ასანთის სინდიკატმა ხელშეკრულება დასდო სპარსეთის ფირმასთან 10,000 ფუთ ასანთის გაცვლის შესახებ ბრინჯზე; ხელშეკრულების ძალით ერთ ფუთ ასანთში სინდიკატი მიიღებს 4 ფუთ ბრინჯს. სინდიკატი სპარსეთში გასასყიდათ გზავნის ასანთის დიდ პარტიას.

ასანთის ნიმუშები იგზავნება აგრეთვე ოსმალეთში.

პარტიზანული ტიფი.

ვლადივოსტოკი. 22 თებერვალი. ქალაქსა და გუბერნიაში მეტათ გავრცელებულია პარტიზანული ტიფი.

შეუძლებელია ვრცლად დავახასიათოთ როგორც მომრიგებელი კამერების და სამედიატორო სასამართლოების მუშაობა, ისე გადასაწყვეტი საქმეების გადიდება და მათი ავტორიტეტის ამაღლება როგორც მუშებსა, ისე სამეურნეო ორგანოებს შორის, ხოლო საჭიროა აღვნიშნოთ, რომ კონფლიქტები ტარდებოდა კანონით დაწესებულ სტადიებში, ამ საქმეებიდან უმრავლესობა გადაწყდა მხარეთა მორიგებით სამომრიგებლო კამერებში. უკანასკნელი კი მაქსიმალურ გარანტიას იძლევა იმისა, რომ მხარეთა მიერ, შესრულებული იქნება მათ მიერ დადგენილი საურთიერთო ვალდებულება.

1922 წელს მომრიგებელ კამერებში გაირჩა 118 კონფლიქტი. უკანასკნელი იტევს 6,052 მონაწილეს.

სამედიატორო სასამართლოებში გაირჩა 67 საქმე, რომელიც ეხება 2567 მონაწილეს.

კონფლიქტების მიზეზებია:

მომრიგებელ კამერებში: შრომის ხელფასი (26 კ.), დათხოვნა (28 კ.), კოლექტიურ ხელშეკრულებათა ახალი დადება (12 კ.) და სხვა მიზეზები (24 კ.). ამაში მორიგების გამო მოისპო 18, სხვა ინსტანციებს გადაეცა 2, მიღწეული იქნა შეთანხმება 58 და შრომის სასამართლოს გადაეცა 32.

მუშების სასარგებლოდ გადაწყდა 43 სრულებით, 7—ნაწილობრივ და მუშების წინააღმდეგ—3.

სამედიატორო სასამართლოებში: მოისპო—24 კ., ხოლო არსებითად გადაწყდა 43 კ.

ამაში მუშების სასარგებლოდ გადაწყდა—27 სრულებით, 15 ნაწილობრივ და ერთი წინააღმდეგ. მიღწეულია შეთანხმება—20 მიზეზები: შრომის ხელფასი—8, დათხოვნა—10, კოლექტიურ ხელშეკრულებათა—ხელახალი დადება—18 და სხვა მიზეზები—31.

კონფლიქტთა გამომწვევ მიზეზებში სჭარბობს შრომის ხელფასი, დათხოვნა და კოლექტიურ ხელშეკრულებათა ხელ-ახალი დადება. ეს აიხსნება სამეურნეო ორგანოების მხრივ უყურადღებო მოპყრობით იმ ვალდებულებისადმი, რომლებიც მიღებული იყო კოლექტიურ ხელშეკრულებით.

საერთოდ მომრიგებელ კამერებმა და სამედიატორო სასამართლოებმა დიდი ავტორიტეტი მოიპოვეს როგორც მუშებსა, ისე სამეურნეო ორგანოებს შორის და შეიძლება ითქვას, რომ ისინი ამ ჟამად შეადგენენ ერთ მომქმედ ძალას ჩვენი ეკონომიკისათვის.

აქვე საჭიროა აღვნიშნოთ მხარეთა შეთანხმების პირველადი ორგანოების შეფასებელ საკონფლიქტო კომისიების მუშაობის სისუსტე, რის გამოც შრომის სახალხო კომისარიატი აძლიერებს თავის ზედამხედველობას მათ მიერ მიღებული დადგენილებების გარშემო.

მომრიგებელ კამერების და სამედიატორო სასამართლოების მუშაობის პრაქტიკამ მოითხოვა შრომის სახ. კომისარიატიდან სატარიფო მუშაობაც. მუშაობის ეს ნაწილი აუცილებლად უნდა გაიყოს ორ ნაწილად.

პირველი ეხება შრომის სახალხო კომისარიატის მუშაობას კოლექტიურ ხელშეკრულებით შრომის ხელფასის მოწესრიგების დარგში.

ამ მუშაობაში სპეციალურად ჩაბმულია პროფკავშირები, ხოლო შრომის სახალხო კომისარიატს ევალება აღრიცხოს კოლექტიურ ხელშეკრულებით მიღწეული შედეგები. სახელმწიფოს ინტერესებისათვის მან უნდა ის შეაჯამოს.

ამიტომ შრომის სახ. კომისარიატი არ ცდილა სამეურნეო და პროფ-ორგანოებზე მოეხვია შრომის ხელფასის ესა თუ ის პირობები, ან კიდევ შრომის კანონთა კოდექსზე ალმატებული ნორმები, ხოლო ის ცდილობდა ხელი შეეწყო მხარეთა მიერ მიღებულ პირობების შესრულებისათვის და შეეტანა სათანადო სახელმწიფო და პროფესიონალურ ორგანოების საშუალებებით საჭირო შესწორებები წარმოების სხვადასხვა დარგში, მიღწეულ შრომის პირობების სწორ შეფარდების აღდგენის მიზნით.

24 წლის 1-ლ იანვრისათვის არსებობს 126 კოლექტიური ხელშეკრულებანი. უკანასკნელი ვრცელდება 17,640 მუშაზე და იტევს 203 წარმოებას; ამავე რიცხვისათვის—1.073 სატარიფო შეთანხმება, რომელიც ვრცელდება 3,656 კაცზე. სულ—21 ათას 296 მუშ. ხელშეკრულებებით საშუალო განაკვეთი პირველ ხარისხისა უდრის 8 მან. 90 კაპ. (საქონ.), მე 6 ხარისხისათვის 18 მ. 72 კ. სატარიფო შეთანხმებებით კი 9 მ. 30 კაპ. (საქონ.), ხოლო მე 6 ხარისხისათვის 18 მან. 85 კაპ. საშუალო—კოლექტიურ ხელშეკრულ. და სატარიფო შეთანხმ. უდრის 1-ლ ხარისხისათვის 8 მან. 98 კაპ., მე-6 ხარისხ. 18 მან. და 70 კაპ.

ზემოთმოყვანილი შრომის ხელფასი გაცილებით უფრო დიდია სახელმწიფო მომარაგებაზე მყოფთა ხელფასზე. აქ საჭიროა აღვნიშნოთ ისიც, რომ საჭიროა მისი გადიდება იმისდამიხედვით, რამდენადაც ჩვენი მრეწველობა და შრომის ნაყოფიერება გაძლიერდება.

სატარიფო მუშაობის მეორე ნაწილი ეხება სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის ეგრედწოდებულ სახელმწიფო მინიმუმის მოწესრიგებას.

აღვნიშნავთ რა ამ კატეგორიის მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებას ჩერვონულ მანეთზე გადასვლასთან დაკავშირებით, შრომის სახ. კომისარიატი ღებულობს ყოველგვარ ზომებს:

1) შრომის ხელფასის თავის დროზე გაცემის ზედამხედველობისათვის.
2) ხელფასის გაცემის ვადის დაწესებისათვის.
3) მინიმუმის გადიდებისათვის საქონ. და ჩერ. მანეთებს შორის არსებულ პარიტეტის გადასინჯვის საშუალებით და
4) შრომის ხელფასის მინიმუმის ცხრილის ყოველთვიურად გადასინჯვისათვის.

1923 წ. განმავლობაში ყოველ თვის 10 რიცხვში მინიმუმი განისაზღვრებოდა 4 საქ. მანეთის ღირებულებით.

ნოემბერში მინიმუმი გადაყვანილ იქნა ჩერვონულ გამოანგარიშებაზე 1: 1,3 პარიტეტის მიხედვით და ამჟამად უდრის 5 მან. 20 კაპ. ამასთანავე განათლების სახალხო კომისარიატისათვის მინიმუმად მიღებულია 6 მან. ცხრილში 1:5 შეფარდების დაცვით და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისათვის 5 მან. 20 კაპ. ცხრილის გაფართოვებისა და 1:8 შეფარდების დაწესებით.

დაბოლოს შრომის სახ. კომისარიატმა თავი მოუყარა კომისარიატში მთელ მუშაობას შტატების მოწესრიგების დარგში, როგორც სახელმწიფო მომარაგებაზე მყოფ, ისე ადგილობრივ მომარაგებაზე და აგრეთვე სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ დაწესებულებებში.

შტატების მტკიცე მოწესრიგება დაიწყო გ | წ. ოქტომბრიდან. მაშინ გადაისინჯა სპეცების რიცხვი და მათი ხელფასი დაკლების მიზნით.

ამჟამად სახალხო კომისარიატების მიხედვით სახელმწიფო მომარაგებაზე იმყოფება 16,442 კ. აქედან 302 პასუხისმგებელია და 403 სპეცი.

5. სოციალური დაზღვევა.

საბჭოთა გადატრიალების პირველ რიცხვებში საქართველოს მთავრობის მიერ შემოღებული იქნა დაქირავებითი შრომით მომუშავე პირთა სრული და სავალდებულო დაზღვევა.

საქართველოს მუშათა კლასმა ერთი საკანონმდებლო აქტით მიიღო ის, რასაც ევროპის და ამერიკის პროლეტარიატი ამაოდ ეძიებს და რასაც შეკავშირებული მუშათა მემარცხენე ნაწილი თხოულობდა საქართველოს მენშევიკურ მთავრობისაგან, მაგრამ ფუჭად.

სოციალური დაზღვევის დარგში ჩვენ მუშაობას ცხადყოფენ ის პარალელები, რომლებიც ჩვენგან მოყვანილია ქვევით. უკანასკნელი თვალსაჩინოდ დაანახვებს მშრომელთ იმ მიღწევას, რომელიც შექმნილია შედარებით ამ მოკლე ხნის განმავლობაში მისი სახელმწიფო კლასიურ ორგანიზაციების მიერ, სოციალურ დაზღვევის სამმართველოს და პროფკავშირების სახით, რომლებიც თვიანთ პლენუმებსა და კონფერენციებზე ადგილობრივად ირჩევენ დამზღვევ კასების კომიტეტებს. გადავიდეთ მენშევიკურ დაზღვევაზე.

საქართველოში მენშევიკების სამი წლის ბატონობის დროს არ ყოფილა გაუქმებული მეფის მიერ 1912 წელს გამოცემული კანონი მუშათა დაზღვევის შესახებ. ამ კანონში მხოლოდ მცირედი ცვლილებები იქნა შეტანილი. ამიტომაც მენშევიკური დაზღვევის კანონები ვრცელდებოდა მუშათა მხოლოდ მცირედ ნაწილზე. დაზღვევა სრულებით არ ეხებოდა სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებათა და რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთ, სასოფლო-სამეურნეო მუშებსა და მოსამსახურეებს და საავჭრო დარგის მუშაკებს.

საკმაოა ითქვას, რომ ტფილისში დაქირავებით მომუშავეთა საერთო რიცხვიდან დაზღვეული იყო მხოლოდ 1-მეოთხედი ე. ი. 4000—4500 კაცი. სოციალურ დაზღვევის ყველა სახეებიდან (ავადმყოფობა, დასახიჩრება, ინვალიდობა, ქვრივ-ობლობა, უმუშევრობა და სხვ.) მენშევიკების დროს შემოღებული იყო მხოლოდ ორი სახე: დაზღვევა ავადმყოფობასა და დასახიჩრების შემთხვევაში.

დახმარებათა რაოდენობა განისაზღვრებოდა ჯამაგირის ნახევრიდან 2 3-მდე. ეს დახმარება დაზღვეულ მუშებს ეძლეოდათ არა სრულ გამომრთელებამდე (ავადმყოფობის შემთხვევაში), არამედ მოკლე დროის განმავლობაში.

მუშებს თვიანთი ჯამაგირიდან საავადმყოფო კასის სასარგებლოდ ექვითებოდათ იმდენივე, რამდენიც წარმოებათ (2 პროც. სამუშაო ხელფასიდან).

მენშევიკურ დაზღვევის კანონებით მუშები არ იყვნენ უზრუნველყოფილნი სათანადო საექიმო დახმარებით და წამლით, დაზღვეულთათვის არ იყო მოწყობილი ცალკე ამბულატორიები და საავადმყოფოები (მართალია კანონის ძალით წარმოებელნი საექიმო დახმარებისათვის იხდიდენ 2 პროცენტს, რომლის საშუალებით საავადმყოფო კასებს შეეძლოთ თავის ხელში აეღოთ საექიმო დახმარების საქმე, მაგრამ ეს ყოვლად შეუძლებელი იყო ხსენებულ პროცენტის სიმცირის გამო. იმ ამბულატორიების დახმარება კი, რომლებიც მოწყობილნი იყვნენ თვით წარმოებებთან, იმდენათ უმნიშვნელო და ზერელე იყო, რომ მასზე ლაპარაკიც კი არ ღირს). ამრიგად საექიმო დახმარების მხრივ მუშები უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფებოდენ.

საავადმყოფო კასების მმართველ-გამგეობაში და უფრო მეტად მაშინდელ დაზღვევის საბჭოში დიდი გავლენა ჰქონდათ მწარმოებელთ. ყოველივე ეს მაჩვენებელია იმისა, რომ მენშევიკებისა და მეფის დაზღვევის კანონებ შორის მაინცა და მაინც დიდი განსხვავება არ ყოფილა; ორივე მთავრობის დროს მუშების ინტერესები არ იყო დაცული.

სრული სოციალური დაზღვევა შემოღებული იქნა ჩვენში მხოლოდ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 2 აპრილს 1921 წ. საბჭოთა ხელისუფლების კანონების ძალით.

სოციალური დაზღვევა ვრცელდება ყველა დაქირავებით მომუშავე პირებზე. მუშა-მოსამსახურენი სრულიად განთავისუფლებულნი არიან ყოველივე ხარჯებისაგან, რომელიც დაკავშირებულია დაზღვევის საქმესთან. დამზღვევ კასების მმართველ-გამგეობა თვით მუშების ხელშია. ავადმყოფობის შემთხვევაში დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეს ეძლევა სრული თავისი შრომის ხელფასი იმ დრომდე, სანამ ის სავსებით გამოჯანსაღდება. დამზღვევი კასის მონაწილე და აგრეთვე მისი ოჯახის წევრი სარგებლობენ უფასო საექიმო დახმარებით და წამლობით. დაზღვეულებს ეძლევათ ერთდროული დახმარება ბავშვის შეძენის გამო 10 მ. 50 კ. და საკვები ფული 2 მ. 70 კ. ყოველთვიურად 9 თვის განმავლობაში. გარდა ამისა მათ დახმარება ეძლევათ ოჯახის ავადმყოფ წევრის მოსავლელად, კარანტინის შემთხვევაში და გარდაცვალებულის დასამარხათ. შრომის ინვალიდები და უმუშევარნი ღებულობენ სათანადო პენსია-დახმარებას კვალიფიკაციისა და სტაჟის მიხედვით, ისინი სარგებლობენ აგრეთვე წამლობა-ექიმობით და დამატებითი დახმარებით (ბავშვის შეძენის გამო, ბავშვის საკვები, გარდაცვალებულის დასაფლავება და სხვა).

მუშა-ქალები ორსულობის დროს თავისუფლდებიან მუშაობიდან 8 კვირით მშობიარობის წინა და 8 კვირით მშობიარობის შემდეგ. აღნიშნულ დროის განმავლობაში ისინი ღებულობენ სრულ თავის სამუშაო ხელფასს.

ერთი სიტყვით, ყველა შემთხვევაში, როდესაც მუშა მოსამსახურე მისგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო კარგავს შრომის ხელფასს, საბჭოთა სოციალური დაზღვევის კანონდებულება უზრუნველყოფს მის არსებობას საჭირო პირობებით.

სოციალურ დაზღვევის ყველა კანონებს ცხოვრებაში ატარებენ დამზღვევი კასები, რომელთა ხელმძღვანელებს, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ირჩევენ თვით მუშა-მოსამსახურენი.

ამ ჟამად საბჭოთა საქართველოში არსებობს 18 დამზღვევი კასა თავისი 34 განყოფილებით, ანუ დაზღვევის პუნქტებით. ამ კასების იდეური და პრაქტიკული ხელმძღვანელობა დაკისრებული აქვს რესპუბლიკის სოციალურ დაზღვევის სამმართველოს—შრომის სახალხო კომისარიატის მეთაურობით.

24 წლის 1-ლ იანვრისათვის დამზღვევ კასებს აღრიცხვაზე აქვთ აყვანილი 6369 წარმოება-დაწესებ. ამავე დროისათვის დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი უდრის 66556 კაცს. საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხვი (გარდა რკინის გზისა), თანახმად საქ. პროფკავშირთა საბჭოს მიერ 1-ლ იანვარს გატარებულ აღრიცხვისა, უდრის 60,799. ამრიგად დამზღვევ კასებმა არა თუ გააერთიანა აღნიშნული რაოდენობა მუშებისა, არამედ უფრო მეტათ შემოიკრიბა თავის გარშემო, რაც უნდა მიეწეროს დამზღვევ ორგანოების ნაყოფიერ მუშაობას.

24 წ. 1-ლ იანვრისათვის დამზღვევ კასებს ჰყავთ: პენსიონერები—შრომის ინვალიდები—1363 და უმუშევარნი 4473.

დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეთა მიერ ავადმყოფობის გამო გაცდენილი დღეების რაოდენობა უდრის 382,380 დღეს. გასულ წლის განმავლობაში თითო დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეზე საშუალოდ მოდის 6,6 დღე, რაც არ ჩაითვლება დიდ ჯამათ (მიღებულ ნორმის მიხედვით 10—11 დღე თითო დაზღვეულზე).

დამზღვევ კასების მონაწილეთა და მათი წევრთა წამლობა-ექიმობა კარგად არის მოწყობილი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ გამონაკლისებს. დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეთათვის გამოყოფილია ცალკე ამბულატორიები და საავადმყოფოები. ამრიგად მუშათა კლასის ჯანმრთელობის სიცოცხლის დაცვას დიდი ყურადღება აქვს მიქცეული [illegible] დამზღვევი ორგანოები აწყობენ სანიტარულ დასასვენებელ სახლებს, რისთვისაც გასული წლის განმავლობაში დახარჯული აქვთ 70.250 ჩერვ. მანეთი.

დამზღვევ კასების გასული წლის საერთო შემოსავალი უდრის 1.800,000 ჩერვ. მანეთს, ხოლო გასავალი კი 1.500 ჩერ. მან. დარჩენილი თანხა, ნაშთი წარმოადგენს 10 პროც.-ს. ეს მეტისმეტად უმნიშვნელო ჯამია დაზღვევ ორგანოებისათვის, რომელიც სათადარიგო ფონდში უნდა მოეპოვებოდეს მტკიცე თანხა ყოველ მოულოდნელ შემთხვევებისათვის, როგორც ამას გულისხმობს სოც. დაზღვევის თეორია და პრაქტიკა.

დამზღვევ კასების ფინანსიური სისუსტე აიხსნება მით, რომ დაახლოვებითი გამოანგარიშებით წარმოება-დაწესებულებათა დამზღვევ კასებისადმი დავალიანება უდრის 21.162 ჩერ. მანეთს, რაც აკრეფილი უნდა იყოს ახლო მომავალში.

დასასრულ ზედმეტი არ იქნება ხაზი გაუსვათ იმას, რომ დაზღვევის მოძრაობის ერთად-ერთ აუცილებელ გარემოებას შეადგენს სამეურნეო ორგანოების მიერ კანონიერ-ანარიცხების თავის დროზე შეტანა.

თუ ჩვენ შევსძლებთ ჩვენ მუშაობაში ამ ნაკლის გამოსწორებას, მაშინ შრომის სახ. კომისარიატი სასტიკი ეკონომიით და წესიერი მუშაობით შესძლებს გააფართოვოს დაზღვეულთა წრე, დახმარების ნორმები და გააუმჯობესოს დაქირავებითი მომუშავეთა, ე. ი. დაზღვეულთა საექიმო დახმარება.

6. შრომის სტატისტიკა.

მენშევიკების დროს თუმცა არსებობდა ერთგვარი შრომის სტატის. ორგანო, მაგრამ ვინაიდან თვით მენშევიკური შრომის ორგანო შეზღუდული იყო, ცხადია სტატისტიკაც ვერ იქნებოდა ნამდვილ მდგომარეობის გამშუქებელი. იმ მასალების, რაც ამ დარგში მათ მოეპოვებოდათ, შემუშავება და გამოცემა მოუხდა შრომის სახალხო კომისარიატს.

[illegible] შრომის [illegible] კომისარიატის დაარსებისთანავე მოეწყო შრომის სტატისტიკა. კომისარიატის [illegible] რიცხვის [illegible] შედეგათ მოჰყვა შრომის [illegible] სამუშაოს [illegible] დარგშიც მუშაობა. მის პროგრამაში [illegible] მუშავეთა რი[illegible] მუშათა კლასის რიცხვობრივ შემადგენლობის გა[illegible] შემცირება [illegible] სამუშაო დროის, შრომის [illegible] და შრომის ნაყოფ. [illegible] მუშავეთა მდგომარეობის [illegible] მუშაობის მსვლელობა, 4) შრომის დაცვის გარშემო მიმდინარე ზედამხედველობა, 5) მუშებსა და დამქირავებელთა შორის აღმოცენებულ კონფლიქტების შესწავლა, 6) კოლექტიურ ხელშეკ. დაწესებული შრომის პირობების და შრომის ხელფასის შესწავლა, 7) აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულების გამორკვევა, 8) სოციალურ დაზღვევის საკითხების გამორკვევა და სხ. შრომის სტატისტიკის ორგანოს არც ერთი ზემოხსენებული საკითხი არ დარჩენია გაუშუქებლად. ეს კი ყოველთვის საშუალებას აძლევდა კომისარიატს ელო სწორი ხაზი იმ მძიმე მუშაობისათვის, რომელიც დაკისრებული ჰქონდა მას.

ამასთანავე შრომის სახ. კომისარიატის, საქ. პროფკავშირთა საბჭოს და სტატისტიკურ ცენტრალურ სამმართველოს შრომის სტატისტიკის გაერთიანების მიზნით კომისარიატთან მოეწყო გაერთიანებული სტატბიურო, რომელსაც შეფარდებული აქვს თავისი მუშაობა სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოსთან, რომელიც წარმოადგენს რესპუბლიკის ფარგლებში სახელმწიფო სტატისტიკის გამტარებელ ორგანოს.

7. შრომის კანონდებულებანი

სამი წლის განმავლობაში შრომის სახ. კომისარიატმა შესძლო საქართველოს მუშათა კლასისათვის მიეცა სრული შეუკვეცელი მუშათა კანონდებულება.

შემდეგში შრომის სახ. კომისარიატმა, როგორც დირექტიულმა ორგანომ, უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოს განმარტებების გაცემას და კანონდებულებების შეკრებას და რესპუბლიკის პირობების მიხედვით მის შევსებას.

ყველა ეს ღონისძიებანი უნდა ტარდებოდეს თანხმობით ამავე დარგში ა | კ დანარჩენ რესპუბლიკების ღონისძიებებთან. ამიტომ ა | კ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული კონტაქტი უნდა იქნას გაფართოვებული და ზედმიწევნით გატარებული.

ვათავებ რა სამი წლის განმავლობაში შრომის სახალხო კომისარიატის არსებობის მოკლე მიმოხილვას, საჭიროდ ვრაცხ აღვნიშნო, რომ შრომის სახალხო კომისარიატმა უნდა შეათანხმოს მშრომელთა და სახალხო მეურნეობის ინტერესები მუშათა და გლეხთა ხელისუფლების განვითარება-განმტკიცებისათვის.

არ. მიქაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომარეობის გაუმჯობესება დონის აუზში.

ბახმუტი. 22 თებერვალი. სამთომადნო მუშების კავშირი აერთიანებს დონის მაღაროების მუშების 87 პროც. მეტათ გაცხოველდა საწარმოო უჯრედების მუშაობა მაღაროებში. დონის აუზში წარმოებულმა საბინაო აღმშენებლობამ შესამჩნევათ შეამსუბუქა საბინაო კრიზისი. კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა დონის აუზში კარგათ არის დაყენებული. სამთომადნო მუშების კავშირის ხარჯზე არსებობს 197 სკოლა 30,000 ბავშვით, 37 საბავშო სახლი, 3 000 ბავშვით, 147 მუშათა კლუბი და 160 ბიბლიოთეკა. დონის აუზში არის აგრეთვე წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები, რომლებშიაც სწავლობს 50,000 კაცი.

პოდოლია ეხმარება ბავშვებს.

ვინიცა. 22 თებერ. ფართოდ ვითარდება ბავშვების დახმარების კამპანია. პოდოლიაში ითვლება 3000 უპატრონო ბავშვი. მუშებმა ბავშვების სასარგებლოთ გადასდვეს ჯამაგირის ნაწილი.

ნახშირის ამოღება.

ბახმუტი. 22 თებერ. თებერვლის მეორე კვირის განმავლობაში დონის აუზში ამოღებულია 12.320.000 ფ. სათბობი მასალა. ნამქერის გამო, ჯერჯერობით გატანილია მხოლოდ 2.185.000 ფუთი.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარა

კონტრაბანდისტების გასამართლება ბათომში.

ბათომი. 23 თებ. ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყ. საჯარო სხდომაზე გაირჩა ბათომის საბაჟოს ყოფილ თანამშრომლების ბ. მგელაძის, ვ. ერისთავის, მ. სიხარულიძის, მასხარაშვილის, გამსახურდიას და სხვების საქმე, რომელთაც ბრალდებოდათ საბაჟოდან კონტრაბანდათ 7 ფუთი სახარინის გამოტანა.

სასამართლომ დაჰკითხა მოწმეებს სამსონაძეს და ნეივალდერს, რომელთა ჩვენებაში წინააღმდეგობა აღმოჩნდა. სასამართლომ ეჭვი შეიტანა აღნიშნულ მოწმეთა ჩვენების სისწორეში, ხოლო პროკურორმა მოითხოვა მოწმე მ. სამსონაძის და კ. ნეივალდერის დაპატიმრება და საქმის ხელახლა გამოძიება.

სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა საქმის შეწყვეტის და მოწმე სამსონაძის და ნეივალდერის პასუხისგებაში მიცემის შესახებ და დაადგინა: საქმის გარჩევა შეჩერებული იქნას და გადაეცეს გამომძიებელს ხელახლა გამოსაძიებლად, მოწმე სამსონიძე და ნეივალდერი მიცემული იქნენ პასუხისგებაში და დაპატიმრებული.

დამცველების მიერ შუამდგომლობა იქნა აღძრული სასამართლოს წინაშე საქმის ხელახლად გარჩევამდე ბრალდებულთა თავდებქვეშ განთავისუფლების შესახებ.

სასამართლომ შესაძლებლად სცნო მხოლოდ ბრალდებულ მ. სიხარულიძის და თვალედიანის განთავისუფლება, დანარჩენებს კი უარი უთხრა.

პარტიული ცხოვრება

ლტოლვა კომპარტიისაკენ

ხაშური 9 თებ. სად. ხაშურის რკ. გზელთა საზოგადო კრებამ წამოაყენა 14 უპარტიო დაზგის მუშა კომუნისტური პარტიის რიგების შევსებათ, რაზედაც საზოგადო კრებამ ერთხმად მოითხოვა მათი კომპარტიაში მიღება.

7 თებერვალს ხაშურის რაიონის ფოსტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრებამ მოითხოვა რვა კვალიფიციური მუშის მიღება კომუნისტურ პარტიაში.

ტრანსპორტის კომუჯრედებში განუწყვეტლივ მოდის განცხადებები მუშებიდან პარტიაში მიღების შესახებ. ხაშურის პროლეტარიატი მისცემს კომუნისტურ პარტიას 200 მუშაზე მეტს.

ახპანძელი.

კომკავშირის თელავის მაზრკომის მიერ ჩატარებულ უჯრედთა მდივნების ყრილობა-კურსების შედეგები

3 თებერვალს დასრულდა მუშაობა კომკავშირის უჯრედების მდივნების ყრილობამ—კურსებმა თელავის მაზრაში.

ყრილობა—კურსები ეს ახალი ინსტიტუტია, მეთოდია კავშირის მუშაობაში. მას მიზნათ აქვს მისცეს ჩვენი კავშირის სოფლის უჯრედების მდივნებს აუცილებელი ცოდნა, რათა უჯრედის მდივანმა შესძლოს მასზედ დაკისრებული საპასუხისმგებლო მოვალეობის პირნათლად შესრულება.

დღემდე ვერაა მოგვარებული ჩვენი ორგანიზაციის აქტიური შემადგენლობის თვითგანვითარების საქმე და ეს განსაკუთრებით ეხება უჯრედების ხელმძღვანელთა შემადგენლობას. კარგი უჯრედის მდივანს შეუძლია აამაღლოს კავშირის ავტორიტეტი და პრესტიჟი მუშა-გლეხურ ახალგაზრდობის თვალში. მასვე შეუძლია ახალი წევრების მიზიდვა ორგანიზაციაში. უჯრედის მდივანი, რომელიც პასუხისმგებელია უჯრედის ყველა დარგებში მუშაობის შესახებ უნდა ერკვეოდეს კავშირის ყველა საკითხებში ელემენტარულათ მაინც და ჰქონდეს წარმოდგენა საბჭოთა რესპუბლიკებისა (აგრეთვე კერძოთ თავისი მხარის) საგარეო და საშინაო მდგომარეობაზე, ახალი საზოგადოების უმთავრეს პრინციპებზე, კერძოთ ახალ ყოფა-ცხოვრებაზე, კავშირის წესდებასა და პროგრამაზე, მეცნიერების ზოგიერთ ახალ მიღწევებზე, კერძოთ ავიაციისა, ელექტროფიკაციისა და სხვა დარგებში, ესმოდეს თუ რა დამოკიდებულებაში არის მეცნიერება და რელიგია და სხვა.

ყრილობა—კურსები თელავში გაიხსნა 23 იანვარს და გაგრძელდა 3 თებერვლამდე ე. ი. 14 დღე; მონაწილეობა მიიღო 35 უჯრედის მდივნებიდან 25-მა. ზოგიერთი ძლიერ სუსტი უჯრედებიდან დაესწრო რამდენიმე წევრი. ნაციონალური შემადგენლობა კურსების მონაწილეთა ასეთია: ქართველი 21, ოსი 12 და სომეხი 5. ყრილობის გახსნაზე ახსნილ იქნა ყრილობა — კურსების მიზან-დანიშნულება. შემდეგ წარმოდგენილ იქნა რევოლიუციონური პიესა და ნაჩვენები იყო ცოცხალი სურათები. კლუბი მორთულ იყო სათანადო პლაკატები. 24—27-მდე მუშაობა შეჩერებულ იქნა ამხ. ლენინის დასაფლავების დღის აღსანიშნავად წარმოებული მუშაობის გამო. აღნიშნულ დღეებში კურსანტები გაეცნენ ლენინის ბიოგრაფიას და მოღვაწეობას და მთელ თავისუფალ დროს ატარებდნენ წიგნთსაცავ სამკითხველოებში. 28 იანვარს დაიწყო ყრილობის სისტემატიური მუშაობა.

პროგრამა ასეთი იყო: საერთაშორისო მდგომარეობა,—8 საუბარი 2 დღის განმავლობაში. საბჭოთა რესპუბლიკების საშინაო მდგომარეობა—2 საუბარი 1 დღის განმავლობაში. საბჭოთა ხელისუფლება და გლეხობა—1 საუბარი. საბჭოთა რესპუბლიკების სასოფლო მეურნეობის მდგომარეობა—1 საუბარი. კავშირის წესდება და პროგრამა—1 საუბარი. მუშა-ახალგაზრდობის საერთაშორისო მოძრაობა—1 საუბარი. რელიგია და მეცნიერება—1 საუბარი. კომუნისტური ეთიკა—1 საუბარი. ახალი ყოფა-ცხოვრება—1 საუბარი.

ყრილობაზე ვრცლად იქნა გაშუქებული „მაკრატლის“ პრობლემა, 31 იანვარს დათვალიერებულ იქნა ადგილობრივი სტამბა და ჩატარებულ იქნა მოკლე საუბარი ბეჭდვის შემოღებისა და ისტორიის შესახებ. 1 თებერვალს კურსანტებმა ინახულეს ჯარის ნაწილები, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია ორივე მხრიდან.

აღმოჩნდა რომ კურსანტებმა საკმაოდ შეითვისეს განხილული საკითხები.

2 თებერვალს შესდგა ყრილობა, რომლის დღის წესრიგში იდგა სამი საკითხი: 1. მოხსენება მაზრკომის პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ.

2. სამაზრო აღმასკომის მოხსენება მაზრაში საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ.

3. მომავალი მუშაობის გეგმა ეკონომიურ, საავიტ საპრ. განყ. და საორგანიზაციო დარგებში.

პირველი და მესამე მოხსენებები ჩატარებულ იქნა და ყრილობის მონაწილეებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს აღნიშნული საკითხების გარჩევაში. სამაზრო აღმასკომის მოხსენება არ შემდგარა, მომხსენებლის გამოუცხადებლობის გამო, რაც დაუშვებელია უფროსი ამხანაგების მხრივ.

ამნაირათ დამთავრდა ყრილობა—კურსების მუშაობა. მან სავსებით გაამართლა თავისი მიზან-დანიშნულება.

კომკავშირელი.

ეკონომიური ცხოვრება

ვალუტის ბირჟის ფასები.

(24-25-26 თებერვალი)

		მილ.
ჩერვ. ნიშნები	— 3.420	მილ.
ფუნტ. სტერლინგ. ეფექტ.	3.145	„
„ ჩეკები	— 2942	„
დოლარი ეფექ.	— 752	„
„ ჩეკები	— 695	„
ოსმ. ქაღ. ლირა	— 456	„
იტალიური ლირა	— 31	„
ფრანგული ფრანკი	— 30	„
საბჭ. ფულის ნიშნები	— 17	„

მუშკოოპის ფასები.

(24 თებერვალი)

პური 1 ხარ. 23,000, პური 2 ხ. 18000, ძროხის ხორცი—85000 ათ. ლორის ხორცი—85000 ათ. შაქარი რაფინადი 130.000 ათ. ფხვნილი შაქარი—90000 ათასი, კარტოფილი—5000 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(24 თებერვალი)

პური 1 ხ.—35000 ათ., პური 2 ხარ.—20000, ძროხის ხორცი 120.000 ათ., ლორის ხორცი 120.000 ათ., შაქარი რაფინ. 140 000 ათ., შაქარი ფხვნილი 95,000 ათ., კარტოფილი 10.000 ათ.

ბირჟის მიწოდება.

„ცენტროსოიუზ“-ის ჩაი; ცეილონის და ჩინეთის ჩაი, სახურავი რკინა, ჟირალმეტის პროდუქცია, აბრეშუმი (ნედლი), ნაწლევები. (15,000 კონა), სპილენძი ფურცლოვანი, როსტოვის პაპიროსები, საშენებელი ლურსმნები, ტყავის ყუდები, „სახაროტრესტ“-ის პროდუქცია, „კოჟსინდიკატ“-ის პროდუქცია, ხორბალი და პურეული, კვებრახის ექსტრატი, შვეიცარული ყველი, რუს. მანუფაქტურა, ქიმიური ნაწარმოები, ფანჯრის მინა, კაუსტიური სოდა, ასანთი რუსული, სახ. მეურნ. საბჭ. საპნის და საფეიქრო ტრესტის პროდუქცია, (საპონი 1 ხარ. „პეტუხ“, ტუალეტის, წართავი, ოლიფას ზეთი დასხვ.), ცემენტი და ეტერნიტი, მატყლი (გარეცხილი), ქინაქინა, ჰიგროსკოპიული ბამბა, ფანქრები, ყავა „მოკკა“, ტომრები თხილი, ნიშადური, შაბიამანი, შაბი, ქაღალდი (გაზეთის), კარტოფილის ფქვილი 1 ხარ.. ძირტკბილა, კარტონი, ასანთი საექსპორტო, ხორბალი ადგილობრივი, განჯის წითელი ღვინო.

ბირჟის მოთხოვნილება.

შაბიამანი, რუსული მანუფაქტურა შაქარი რაფ. და ფხვნილი, ქვა-მარილი ნახშ., „კოჟსინდიკატის“ პროდუქცია, სალომასი, მზესუმზირას ზეთი, ყუბანის ფქვილი, ასანთი რუს. თუჯის და რკინის ნატეხი, გოგირდი, ნედლი ტყავეულობა, პორტლანდიის ცემენტი, ყუბანის საკანდიტერო ფქვილი.

ოფიციალური გარიგებანი.

ტომრები. 30 ფუთიანი—70 კაპ ცალი, ფრანკო—მყიდველის საწყობი.

მზესუმზირას ზეთი. რუს.—6 მან. ფუთი, გოგირდი „ბუდა“—4 მ. 50 კ. ფუთი, ფრანკო—გამყიდველის საწყობი.

ჩერვონცების და ა.-კავკასიის ბონების შეფარდება

(24, 25 და 26 თებერვალი.)

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით
1 ჩ.—	3.420.000	56 ჩ.—	191.520.000
2 ჩ.—	6.840.000	57 ჩ.—	194.940.000
3 ჩ.—	10.260.000	58 ჩ.—	198.360.000
4 ჩ.—	13.680.000	59 ჩ.—	201.780.000
5 ჩ.—	17.100.000	60 ჩ.—	205.200.000
6 ჩ.—	20.520.000	61 ჩ.—	208.620.000
7 ჩ.—	23.940.000	62 ჩ.—	212.040.000
8 ჩ.—	27.360.000	63 ჩ.—	215.460.000
9 ჩ.—	30.780.000	64 ჩ.—	218.880.000
10 ჩ.—	34.200.000	65 ჩ.—	222.300.000
11 ჩ.—	37.620.000	66 ჩ.—	225.720.000
12 ჩ.—	41.040.000	67 ჩ.—	229.140.000
13 ჩ.—	44.460.000	68 ჩ.—	232.560.000
14 ჩ.—	47.880.000	69 ჩ.—	235.980.000
15 ჩ.—	51.300.000	70 ჩ.—	239.400.000
16 ჩ.—	54.720.000	71 ჩ.—	242.820.000
17 ჩ.—	58.140.000	72 ჩ.—	246.240.000
18 ჩ.—	61.560.000	73 ჩ.—	249.660.000
19 ჩ.—	64.980.000	74 ჩ.—	253.080.000
20 ჩ.—	68.400.000	75 ჩ.—	256.500.000
21 ჩ.—	71.820.000	76 ჩ.—	259.920.000
22 ჩ.—	75.240.000	77 ჩ.—	263.340.000
23 ჩ.—	78.660.000	78 ჩ.—	266.760.000
24 ჩ.—	82.080.000	79 ჩ.—	270.180.000
25 ჩ.—	85.500.000	80 ჩ.—	273.600.000
26 ჩ.—	88.920.000	81 ჩ.—	277.020.000
27 ჩ.—	92.340.000	82 ჩ.—	280.440.000
28 ჩ.—	95.760.000	83 ჩ.—	283.860.000
29 ჩ.—	99.180.000	84 ჩ.—	287.280.000
30 ჩ.—	102.600.000	85 ჩ.—	290.700.000
31 ჩ.—	106.020.000	86 ჩ.—	294.120.000
32 ჩ.—	109.440.000	87 ჩ.—	297.540.000
33 ჩ.—	112.860.000	88 ჩ.—	300.960.000
34 ჩ.—	116.280.000	89 ჩ.—	304.380.000
35 ჩ.—	119.700.000	90 ჩ.—	307.800.000
36 ჩ.—	123.120.000	91 ჩ.—	311.220.000
37 ჩ.—	126.540.000	92 ჩ.—	314.640.000
38 ჩ.—	129.960.000	93 ჩ.—	318.060.000
39 ჩ.—	133.380.000	94 ჩ.—	321.480.000
40 ჩ.—	136.800.000	95 ჩ.—	324.900.000
41 ჩ.—	140.220.000	96 ჩ.—	328.320.000
42 ჩ.—	143.640.000	97 ჩ.—	331.740.000
43 ჩ.—	147.060.000	98 ჩ.—	335.160.000
44 ჩ.—	150.480.000	99 ჩ.—	338.580.000
45 ჩ.—	153.900.000	1 მ.—	342.000.000
46 ჩ.—	157.320.000	2 მ.—	684.000.000
47 ჩ.—	160.740.000	3 მ.—	1.026.000.000
48 ჩ.—	164.160.000	4 მ.—	1.368.000.000
49 ჩ.—	167.580.000	5 მ.—	1.710.000.000
50 ჩ.—	171.000.000	6 მ.—	2.052.000.000
51 ჩ.—	174.420.000	7 მ.—	2.394.000.000
52 ჩ.—	177.840.000	8 მ.—	2.736.000.000
53 ჩ.—	181.260.000	9 მ.—	3.078.000.000
54 ჩ.—	184.680.000	1 ჩერვ.	3.420.000.000
55 ჩ.—	188.100.000		

ქრონიკა

— **25 თებერვალი უქმე დღეა.** თანახმად საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის № 27 დადგენილებისა, საქართველოს გასაბჭოების დღე—25 თებერვალი გამოცხადებულია უქმე დღიდ.

— **სახლების მეპატრონეთა წინააღმდეგ.** ქ. აღმასკომმა დაადგინა, მიიღოს სასტიკი ზომები იმ მეპატრონეთა წინააღმდეგ, რომლებიც უყურადღებოთ ექცევიან ბინებს და ასეთებს ჩამოართვას სახლები.

— **ახალი საავადმყოფო.** ჯანმრთელობის კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა საქ. სახ. კომისართა საბჭოს წინაშე, რათა დაამტკიცოს მის მიერ წარდგენილი შტატი, იმ ორი საავადმყოფოსი (დისპანსერის), რომლებიც იხსნება ტფილისში ერთი ვენერიული და მეორე—ჭლექით ავადმყოფებისათვის.

— **ხარჯთ-აღრიცხვა ქ. ტფილისისათვის.** ქალ. აღმასკომი ამჟამად იმუშავებს ქალ. ტფილისის საჭიროებისათვის 1924 წლის ხარჯთ-აღრიცხვას. ხარჯთ-აღრიცხვის უმეტესი ნაწილი მოხმარდება ქალაქის კეთილ-მოწყობის საქმეს.

— **ბინის სივრცის შემოკლება.** ქალ. აღმასკომის საბინაო კომისიამ გადასწყვიტა: ბინის სივრცე თითო სულზე შემოკლოს 25 კვ. არშინიდან 20 კვ. არშინამდე.

— **ფოსტა-ტელეგრაფის ახალი ტარიფი.** ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატმა დააწესა ახალი ტარიფი წერილების და კორესპონდენციების გადასაგზავნად.

— **რკინისგზელთა არტელი.** შრომის კომისარიატის მიერ მოწვეულ თათბირმა რკინისგზელთა და აღმშენებლობის მუშათა კავშირის შორის ატეხილ დავის გადასაწყვეტად, დაადგინა არ დაშალოს რკინისგზელთა არტელი და აღნიშნულ არტელში მიღებულნი იქნენ სამუშაოთ აღმშენებლობის მუშათა კავშირის წევრებიც.

— **ბუხჰალტერთა თათბირი.** სოც. დაზღვევის სამმართველო 1 მარტს იწვევს დამზღვევ კასების ბუღალტერების და სტატისტიკოსთა თათბირს.

— **უმუშევართა უზრუნველყოფა.** სოც. დაზღვევის სამმართველო იმუშავებს გეგმას იმ უმუშევართა უზრუნველსაყოფად, რომელთაც დაუთავდებათ ვადა დაზღვეულ უმუშევართა უფლებებით სარგებლობის.

— **ჰაეროპლანების ფრენა.** ა | კ. საავიაციო საზ. ჰაეროპლანებმა 1923 წ. 12 დეკემბრიდან დღევანდლამდე ჰაერში დაჰყვეს 108 საათი, და გაიარეს 10,000 კილომეტრის სივრცე.

— **დამზღვევ კასათა ყრილობა.** მარტის პირველ რიცხვებში შესდგება რესპუბლიკის დამზღვევ კასების ყრილობა.

— **შრომის ბირჟა.** 22 თებერვალს შრ. ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა—143, ახლად ჩაეწერა—94, მოთხოვნილება იყო —29, სამუშაოზე გაიგზავნა—26.

შემთხვევები.

— **გვამის პოვნა.** 21 თებერვალს, დილის 11 საათზე, კომუნალურ ქ., სახ. № 10 ამოთხრილი იქნა მოკლული კაცის გვამი, რომელიც აღმოჩნდა გაბუჩ-ბალა მამედოვი. ეჭვით დაპატიმრებულია 9 კაცი.

— **ცეცხლი.** 21 თებერვალს მე-4 ამბულატორიას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც იქნა ჩაქრობილი ცეცხლის მქრობელ რაზმის მიერ.

— **ქურდობა.** 21 თებერ. დღის 3 საათზე პანასუვიჩის ქ. № 17, გაქურდული იქნა მოქ. ევა არუთინოვის ბინა, წაღებულია ერთი ოქროს ბეჭედი ბრილიანტის თვალით, 1 ბეჭედი ალმასის თვალით და ხუთმეტი მისხალი მარგალიტით და 40 ჩერვონეცის სხვადასხვა ნივთები და ტანისამოსი.

ამავე დღეს, საღამოს 9 საათზე, ანდრეევის ქ. № 47, გაქურდული იქნა მოქ. ანნა დიმიტრის ასულის თოდრიას ბინა, საიდანაც წაიღეს 16 ცალი ოქროს ხუთმანეთიანი, 1 ვერცხლის პორტსიგარი, ოქროს მონოგრამებით, ქალის ზამშის რედიკული, 1 ცალი ათჩერვონციანი, ერთი ოქროს ბეჭედი და რევოლვერი „ნაგანის“ სისტემის. ეჭვით დააპატიმრეს ვლადიმერ ექვთიმეს ძე ბერძენიშვილი.

ამავე დღეს საღამოს 10 საათზე მალაკნის ქ. № 52 გაქურდეს მოქ. სიმონ მაისურაძის ბინა, საიდანაც წაღებულია სხვადასხვა ძვირფასი ნივთები 109 ჩერვონ.

— **შეპყრობა.** შეიპყრეს სოფ. გიორგიწმინდის მცხოვრებლები ალექსი იოსების ძე არჩუაძე და ვასო კანჯარაშვილი, რომელთაც ბრალდებათ ადგილობრივი კოოპერატივის გაქურდვა.

ხელოვნება

დისპუტი თანამედროვე ქართული თეატრის შესახებ.

პარასკევს, 22 თებერვალს, პროლეტარულ მწერალთა კავშირის ინიციატივით გაიმართა დისპუტი თანამედროვე ქართული თეატრის შესახებ.

მომხსენებლებად გამოვიდნენ ამხ. სოსო გედევანიშვილი და შურა დუდუჩავა. პირველი მომხსენებელი შეეხო თანამედროვე ევროპიული თეატრის კრიზისს, ამავე დროს გააცნო საზოგადოებას ქართული თეატრის შინაარსი წარსულში და მისი დღევანდელი მდგომარეობა.

მომხსენებლის აზრით, რუსეთის და კერძოთ ქართული თეატრის კრიზისი გამოწვეულია იმით, რომ რევოლიუციით გადახალისებულ ცხოვრების გამოსახატავად დღევანდელ თეატრს ვერ მოუნახავს შესაფერი ფორმა და საშუალებანი; თეატრს წინ გაუსწრო ცხოვრებამ.

თეატრს აღორძინებს და განახლების გზაზე დააყენებს ის კლასი, რომელიც დღეს ქმნის ახალ ცხოვრებას და უშუალოდ მონაწილეობს მატერიალური და სულიერი კულტურის შემოქმედებაში.

თანამომხსენებლად გამოვიდა ამხ. შურა დუდუჩავა, რომელიც შეჩერდა კორპორაცია „დურუჯის“ მანიფესტის გარჩევაზე. მანიფესტი, მომხსენებლის აზრით, შეიცავს ორ მთავარ მომენტს: უარყოფითს და დადებითს.

დურუჯელები ანგრევენ ძველ თეატრს და მის ნაცვლად ჰქმნიან ახალს, მაგრამ მათ მიერ მოცემული ფორმულა ახალი თეატრისა ვერ სწყვეტს თანამედროვე თეატრის კრიზისს, რადგან დადებითი მომენტი მანიფესტისა შეიცავს მხოლოდ ახალ ფორმების ძიებას და მიღებას. მათ მიერ მიღებულ ფორმებში შეიძლება ჩაიდვას ისევ ძველი შინაარსი, რომელიც მოგვცემს შთაბეჭდილების მხრივ დადებითს ეფექტს, მაგრამ თეატრს ვერ გარდაქმნის და იდეიურად გაარეაქციონერებს. დასასრულ მომხსენებელი დაასკვნის, რომ თეატრის აღორძინების წყაროდ როგორც იდეიური, ისე ფორმის მხრივ, გახდება ის ახალგაზრდობა, რომელიც უშუალოდ ჩაბმულია ახალი ცხოვრების ფერხულში და ამავე დროს იწვრთნება სასწავლებლებში და სხვადასხვა პროლეტკულტებში.

მოხსენებათა შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს კორპორაცია „დურუჯ“-მა „ცისფერ ყანწელებმა“, სახალხო თეატრების მომხრეებმა და პროლეტარულმა მწერლებმა. მოხსენებებმა დიდი ინტერესი გამოიწვია. კამათი ღამის პირველ საათამდე გაგრძელდა.

სახელმწიფო ოპერა. „ლოენგრინი“—ვაგნერის.

22 თებერვალს სახელმწიფო ოპერის სცენაზე დადგმული იყო პირველათ ამ სეზონში ვაგნერის გენიალური ოპერა „ლოენგრინი“.

ოპერა დადგმულია მარჯანიშვილის მიზანსცენებით. მხატვარი ოპერას სდგამს შერეული სტილით, აქ ერთმანეთში გადახლართულია მოდერნიზმი და ძველი გერმანული სტილი.

საუცხოვოთ არის დადგმული პირველი სცენა—ნათელ რაინდის ლოენგრინის გამოჩენა მონსალვატის ციხიდან.

იდეალურ რაინდის პოეტურ სურათს იძლევა სარაჯიშვილი. მომღერალი გამსჭვალულია ლირიზმით და ვოკალური გადმოცემა სავსეა განწყობილებით; შესრულების მუსიკალურ მხარის შესახებ ლაპარაკი ზედმეტია, რადგან ის სარაჯიშვილის შესრულებაში ყოველთვის ამოცანის სიმაღლეზე სდგას.

მშვენიერი ელზაა—ბოკოვა. მომღერალი ქალი თავიდანვე იპყრობს მაყურებელს და ქმნის ელზას მთლიან სახეს; სტილი დაცულია დეტალურათ. სიმღერაში ბევრია განწყობილება.

ტელრამუნდის პარტიას მღერის კრივჩენოვსკი; მომღერალს ლამაზათ მღერის, კარგია ფრაზიროვკა, დაცულია სტილი. დამთავრებულათ არის შესრულებული დუეტი ორტრუდასთან და ყველა სხვა ადგილები.

ორტრუდა — მოქ. სტრიჟენოვა. პარტია მოითხოვს დრამატიულ თამაშს და მდიდარ მიმიკას, რაც მთავარია დრამატიზმს სიმღერაში. სამწუხაროთ, შესრულება არ შეგვიძლია დამთავრებულათ ჩავთვალოთ. მსახიობი ყურადღებას არ აქცევს მოქმედების განვითარებას სცენაზე. მან ვერ მოგვცა ამაყ, პატივმოყვარე და შურისმაძიებელ ქალის ნათელი სურათი. სიმღერაში არ არის რითმიულობა, რაც ყოვლად დაუშვებელია ვაგნერის ოპერებში.

მეფე ჰენრიხის პარტიას მღეროდა ბლაგოობრაზოვი. ალბათ, მსახიობი არ ჩაუფიქრდა პარტიას—არ შეიძლება ახალგაზრდა კაცის გრიმის გაკეთება იმ დროს, როდესაც საჭიროა ხანში შესულ ადამიანის სურათის გადმოცემა.

ვოკალური გადმოცემა დამაკმაყოფილებელია, მხოლოდ მომღერალმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ფრაზიროვკას.

„გლაშატაის“ პარტიას მღეროდა ქარცივაძე. ეს პარტია შესდგება მოკლე მონოლოგებისაგან. მომღერალმა დასძლია პარტია.

მშვენივრათ მიჰყავს ორკესტრი ივანე ფალიაშვილს. საუცხოვოთ არის შესრულებული უვერტიურა. ფალიაშვილმა მიაღწია ორკესტრის და სცენის მთლიანობას. საჭიროა რამოდენიმეთ შენელებული იქნეს სპილენძის ინსტრუმენტების ხმა; ისინი უვერტიურის ბოლოში ახშობენ მელოდიას.

ვ. ზებუთოვი.

— **სობინოვის ჩამოსვლა.** პარასკევს, 29 თებერვალს ტფილისში ჩამოვა ცნობილი რუსი მომღერალი სობინოვი.

— **„ბარრიკადი“.** თებერვლის დამლევს გამოვა „ცისფერ ყანწების“ გაზეთი „ბარრიკადი“ ტიციან ტაბიძის რედაქტორობით.

— **სანდრო შანშიაშვილის ახალი პიესა.** სანდრო შანშიაშვილმა დასწერა ახალი პიესა ტრაგედია „ლატავრა“ 5 მოქ. პიესა დაიდგმება რუსთაველის თეატრში.

— **ნიკო გოცირიძის იუბილე.** 23 მარტს რუსთაველის თეატრში გაიმართება მსახიობ ნიკო გოცირიძის იუბილე მისი სასცენო ასპარეზზე 20 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად. საიუბილეო კომისიის პირველი სხდომა შესდგება დღეს რუსთაველის თეატრში.

— **კინო სურათი მუშათა ფაკულტეტის ცხოვრებიდან.** სახ. კინომრეწველობა ამზადებს ახალ კინოსურათს მუშათა ფაკულტეტის ცხოვრებიდან.

— **მსახიობ მარო მდივანის იუბილე.** 2 მარტს ბათომში გაიმართება მსახიობ მარო მდივანის 25 წლის იუბილე.

— **ზ. ფალიაშვილის იუბილე.** კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილის იუბილე მისი სამუსიკო ასპარეზზე 25 წლის მოღვაწეობის შესრულების გამო გაიმართება მიმდინარე სეზონში საოპერო თეატრში.

— **ხარკოვის რუსული დასის წარმოდგენები.** მარტის პირველ რიცხვებში ტფილისში დაიწყება ხარკოვის მსახიობთა დასის წარმოდგენები ნ. სინელნიკოვის რეჟისორობით.

დღეს თეატრებში.

— **ოპერა.** „თავადი იგორი“.

— **დრამა.** „გაზი“.

— **სახ. სახლი.** „ქანდაკება“.

— **სახ. კონსერვატორია.** ვ. გოროვიცის უკანასკნელი კონცერტი.

პროვინციაში

ნიგვზიანის თემი (გურია)

ნიგვზიანის თემი მდებარეობს სად. ჯუმათის ირგვლივ, შესდგება 415 კომლისაგან. სადგურის მახლობლად არის თემის პირობაზე საშუალო ბაზარი. არსებობს „ეპო“, ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, აფთიაქი. ყოველ ხუთშაბათობით არის დანიშნული ბაზარი, სადაც შვიდი თემიდან ჩამოდის სოფლის ნაწარმოები. ამ თემში ერთი ნაკლულევანება არის. აქ დიდი ხნის წინეთ იყო დაარსებული სამკითხველო, რომელშიაც საკმაოდ მოიპოვებოდა ყოველივე ინვენტარი და ყოველდღიურად მოდიოდა გაზეთები, რომლითაც საშუალება ეძლეოდა ადგილობრივ მცხოვრებ გლეხობას ცოტათ მაინც გასცნობოდნენ თუ რა ხდებოდა ქვეყანაზე. ეს სამკითხველო 1923 წელს იქნა დახურული რამოდენიმე ამხანაგების მეოხებით და შემდეგ ამ საქმეს არავინ ყურადღებას არ აქცევს. საჭიროა ასეთ კულტურულ დაწესებულების ხელის შემშლელ ამხანაგებს მოეთხოვოს სათანადო პასუხი და სამკითხველო კი გახსნილ იქნეს დაჩქარებით.

ხალი-კიდე.

მადლობის გამოცხადება

(წერილი რედაქციის მიმართ)

ს. ა. ქ. კ. ცენტრალური და ტფილისის კომიტეტი უღრმეს მადლობას უცხადებს ს. ს. ს. რ. სახ. განათლების კომისარ ამხ. დ. კანდელაკს კომკავშირის კლუბებსა და წრეების საჭიროებისათვის 2000 ჩერ. მ. ღირებული სხვა და სხვა ლიტერატურის უფასოდ მოცემის გამო.

ს. ა. ქ. კ. ცენტრალური და ტფილისის კომიტეტი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დეკრეტი

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

1924. წ. თებერვლის 11.

სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულისათვის ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში ფოსტა-ტელეგრაფის უწყების კუთვნილი ქონებისა და ნაგებობის დაცვისათვის სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის გადასახადის დადების უფლების მინიჭების შესახებ.

რათა რადიოსი, ფოსტა-ტელეგრაფის ნაგებობისა და ხელსაწყოს დაქცევა და გაფუჭება, აგრეთვე ფოსტა-ტელეგრაფის უწყების კუთვნილი ქონების გატაცება წინასწარვე აღკვეთილ იქნეს,—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

მიეცეს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში—უფლება გამოსცეს ხოლმე სავალდებულო დადგენილებანი:

ა. ფოსტა-ტელეგრაფის უწყების კუთვნილი ქონების გატაცებისა და მისივე ნაგებობათა გაფუჭების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

ბ. დაადოს ხოლმე აღნიშნულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ფულადი ჯარიმა ასი საჩერვონეცო მან. რაოდენობამდე, ის, ვინც თავს განირიდებს გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მიერ ამა დადგენილებით გათვალისწინებულ წესისამებრ დადებული ჯარიმის გადახდისაგან, მიცემულ უნდა იქნეს პასუხისგებაში ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში შემავალი რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლის მიხედვით.

ჯარიმა, 1-ლ მუხლში აღნიშნულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის დადებული, გადახდევინებულ უნდა იქნეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოების მიერ—კუთვნილებისამებრ,—გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის განსაკუთრებული ინსტრუქციის თანახმად. ჯარიმის შემტან პირთ უნდა მიეცეს ხოლმე დაწესებული ქვითარი.

გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის შემოსული საჯარიმო თანხები ჩაირიცხება სახელმწიფო შემოსავალში ამიერ-კავკასიის მანძილშეერთებულობისოლქის აღრიცხვით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე აღამალი-ოღლი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ ა. ზავერდოვი.

ბრძანება

ტფილისის ცალკე, განსაკუთრებული დანიშნულების მე-4 ბატალიონისადმი.

№ 44

1924 წ. 20 თებერვალი.

სამეურნეო ნაწილი.

§ 2.

საქართველოს ს. ს. რ. განსაკუთრებულ დანიშნულების ნაწილების სამმართველოს ცირკულიარულ განკარგულების თანახმად, ბატალიონის შტაბთან დაარსებულია კომისია, რომელმაც უნდა აღრიცხოს და გამოარკვიოს სამილიციო, საკომანდო, ადმინისტრატიულ და სამეურნეო შემადგენლობის ცოდნა; ამიტომ წინადადება ეძლევა ყველა იმ კომუნარებს, რომელნიც მსახურობდენ და ეპირათ აღნიშნული თანამდებობები ძველ და წითელ არმიაში, გამოცხადდენ ბატალიონის შტაბში სამშაბათიდან, 27 თებერვლიდან 7 მარტამდი (შეჩართვით) 16-დან 18 საათამდი (4-დან 6 საათამდი) ყოველ დღე.

ის, ვინც არ გამოცხადდება, დასჯილი იქნება სათანადოთ, როგორც სამხედრო, ისე პარტიულის მხრივ.

ტფილისის ცალკე განსაკუთრებული დანიშნულების მე-4 ბატალიონის უფროსი

დოლიძე.

(ბატალიონის შტაბი მოთავსებულია ჯოჯიაშვილის (ყოფილი ბარიატინსკის), ქუჩ. სახ. № 8).

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— **არსენალის რაიკომი იტყობინება,** რომ სამშაბათს, თებერვლის 26, საღამოს 5 ნახ. საათზე ჩოდრიშვილის სახელობის კლუბში (პლეხანოვის პროსპექტი № 182 **გაიხსნება უპარტიო მუშათა ფართე კონფერენცია.**

დღის წესრიგი:

1. საერთაშორისო მდგომარეობა—მომხსენებელი ამხ. **ორჯონიკიძე.** 2. ინჟ. ქიქინაძის მოხსენება კომზაქეს შესახებ. 3. ამხ. **ყურულაშვილის** მოხსენება საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მუშაობის შესახებ. 4. ამხ. **ტოპიკაშვილის** მოხსენება საქართველოს მრეწველობის მდგომარეობის შესახებ. 5. შრომის სახალხო კომისარიატის მოხსენება. ამხ. **მიქაძე.** 6. მუშკოპის მოხსენება ამხ. **ერისთავი,** 7. მიმდინარე საკითხები.

მდივანი ნაზაროვი.

— **საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის 3 რაიკომი** იტყობინება, რომ კვირას, 24 თებერვალს, საღამოს 8 საათზე მე-3 რაიკომის შენობაში მოხდება მე-3 რაიკომის პარტიული კლუბის გახსნა.

მდივანი ვართაპეტიანი.

პროფესიული

— კვირას, 24 თებერვალს, დღის სრულ 12 საათზე „მუშათა პრესის“ კლუბის შენობაში (აბას-აბადის მოედანი № 7)

დანიშნულია ქ. ტფილისის ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა საერთო კრება.

დღის წესრიგი: ქ. ტფილისის ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა ადგილკომის არჩევნები. კრებაზე სექციის ყველა წევრების დასწრება პროფდისციპლინის თანახმად სავალდებულოა.

კავშირის ცენტრ. გამგეობის მდივანი შავერდოვა.
საორგ. განყ. გამგე ფანცულაია.

— სამშაბათს 26 თებერვალს, საღამოს სრულ 6 საათზე „მუშათა პრესის“ კლუბის შენობაში (აბას-აბადის მოედანი № 7) **დანიშნულია ქ. ტფილისის ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა, მუშკორების და სამხედრო კორესპონდენტების საერთო კრება.**

დღის წესრიგში: „მუშათა პრესის“ კლუბის გამგეობის არჩევნები.
კრებაზე სექციის ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.
კავშირის ცენტრ. გამგეობის მდივანი. შავერდოვა.
საორგანიზ. განყოფილების გამგე ფანცულაია.

განცხადებები

საქართველოს მელითონეთა კავშირის ცენტრალური გამგეობა ღრმა მწუხარებით აუწყებს ქ. ტფილისის ყველა მელითონეებს, რომ ა. წ. 22 თებერვალს „კამოს“ სახ. საავადმყოფოში გარდაიცვალა მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, ოქტომბრის რევოლიუციის სახელობის სპილენძის დამმუშავებელ ქარხნის კომიტეტის მდივანი

ამხ. გრიგოლ ტიმოთეს-ძე მაჩაიძე

გამოსვენება „კამოს“ სახ. საავადმყოფოდან კვირას 12 საათზე ბინაზე ველიამინოვის ქ. № 22. დაკრძალვა სამშაბათს, დღის 3 საათზე კუკიის სასაფლაოზე.

590 1—1 ცენტრ გამგეობა.

ბაგრატ მაჩაიძე ცოლშვილით ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და მეგობრებს მისი ძმის ამხ.

გრიგოლ მაჩაიძის

უდროოთ გარდაცვალებას, რომელიც მოხდა ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 22 თებერვალს, დილის 6 საათზე, „კამოს“ სახელობის საავადმყოფოში.

ნეშტის გადასვენება ბინაზე ველიამინოვის ქ. 22, კვირას 12 საათზე. დაკრძალვა სამშაბათს, 26 თებერვალს დღის 3 საათზე კუკიის სასაფლაოზე.

589 1—1

ძმები: ივანე და გიორგი, რძლები რაისა და ანნა, შვილისშვილები ელენა, ბარიკა, კოლია, ნინა, ზინაიდა, რობერტი, ჟორიკა ვაუწყებთ ამხანაგებს ჩვენი საყვარელი, მამის, მამამთილის და ბაბუსი,

თედორე ნიკოს-ძე სტურუას

გარდაცვალებას ა. წ. 16 თებერვალს, სამტრედიის რაიონში, კულაშის თემში. უფ. 1—1

ვ. ი. ლენინის სახელობ.
საოპერო თეატრი

დღეს, 24 თებერვალს,
თავადი იგორი
პარასკევს, 29 თებერვალს
კ. მ. მოსინის 25 წლის საიუბილეოდ
ოტელო.
მზადდება ბალეტი
შეხერეზადა, ვაკხანალია და კაპელიის [illegible]

ნის. 911 2—2

საქართველოს მონადირეთა კავშირის საბჭო

ამით აცხადებს, რომ 26 თებერვლიდან ამა წლის 12 მარტამდე, კავშირის ბინაზე, რუსთაველის ქუჩა № 34, ყოველდღე, გარდა უქმეებისა, საღამოს 5—7 საათამდე აწარმოებს **სანადირო იარაღის რეგისტრაციას.**

იარაღის წარმოდგენა სავალდებულოა. იარაღის გაყიდვა რეგისტრაციის გათავებამდე საბჭოს დაუკითხავად აკრძალულია.

საფუძველი: საქართველოს საგანგებო კომისიის ბრძანება, 26 იანვარი, 24 წ. № 1.

592 1—1 საბჭო.

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდების ექიმობას საჭიროებენ

სამკურნალო სწარმოებს **ექ. სიმონ უიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 126—25—22

ექიმი
კ. გ. ვართანოვი

სიფილისი, კანისა და ვენერიული სნეულებანი. ავადმყოფებს ღებულობს დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: სურამის ქ. № 9. ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის. სამმართველოს მახლობლად. 499—25—12

დავკარგე მოწმობა № 2324, მოცემული 1920 წ. პოლიკარპე მესხიშვილის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. უფ 1—1

დავკარგე პარტ ბილეთი № 3280 გაცემული ი. დარახველიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 591 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა 2 კომისარიატიდან № 2020, მიღებული 1924 წელში. ჩაითვალოს გაუქმებულად. ვარლამ ივანეს ძე ჩხონელიძე. 588 1—1

„ზარია ვოსტოკას“ სტამბა, საშა წულუკიძის ქუჩა № 4.